შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტერორიზმისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: მარიამ შარმანაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი ედიშერ ფუტკარაძე

თბილისი

2021

შინაარსი

შინაარსი 2

ანოტაცია 3

Annotation 4

შესავალი 5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 7

თავი II. ტერორისტული აქტის ძირითადი შემადგენლობა 9

2.1 ტერორიზმის დეფინიცია და ტერორისტული აქტის მარტივი შემადგენლობა 9

2.2 ტერორისტული აქტის ობიექტური შემადგენლობის ძირითადი ნიშნები 14

2.3 ტერორისტული აქტის სუბიექტური შემადგენლობა 19

2.4 ტერორისტული აქტის ძირითადი შემადგენლობის ჩადენის მუქარა 25

თავი III. ტერორისტული აქტის კვალიფიციური შემადგენლობა 27

3.1 ტერორისტული აქტი ჩადენილი ჯგუფურად 27

3.2 ტერორისტული აქტი ჩადენილი არაერთგზის 28

3.3. ტერორისტული აქტი ჩადენილი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით 30

3.4 სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტერორისტული აქტის კვალიფიციური შემადგენლობა. 33

თავი IV. ტერორისტული აქტი და სხვა მომიჯნავე შემადგენლობანი 34

4.1 ტერორისტული აქტი და საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა 34

4.2 ტერორისტული აქტი და კიბერტერორიზმი 38

4.3 ტერორისტული აქტი და ტერორიზმის დაფინანსება 43

4.4 ტერორისტული აქტი და სხვა ტერორისტული დანაშაულები 51

თავი V. კვლევის შედეგები 53

დასკვნა 55

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ტერორიზმი სამართლებრივი მოვლენაა, იგი მოიცავს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფო უსაფრთხოებაზე. ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებით ბრძოლაში საყურადღებოა საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ახდენს ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა კრიმინალიზებას და ადგენს შესაბამის სანქციებს.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას. მეორე თავში განხილულია ტერორისტული აქტის მარტივი შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ხსენებული ქმედების სუბიექტურ და ობიექტური შემადგენლობებს. ამავე თავში განხილულია ტერორისტული აქტის ძირითადი შემადგენლობის ჩადენის მუქარა.

მესამე თავი მოიცავს ტერორისტული აქტის კვალიფიციურ შემადგენლობას, რომელშიც დაწვრილებით არის მიმოხილული ტერორისტული აქტის დამამძიმებელი გარემოებები და თუ რა შედეგებს იწვევს აღნიშნული დანაშაული.

მეოთხე თავში განხილულია ტერორისტული ხასიათის ის დანაშაულები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოსა და საკუთრივ საქართველოსთვის. განხილულია საერთაშორისო ტენდენციები ამ მიმართულებით და თუ როგორ ხორციელდება საქართველოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The following research discusses the criminal liability of terrorism. Terrorism is a legal phenomenon, it includes criminal acts that can have a significant impact on state security. It is important to define the legal framework in the fight against terrorism through legal means. The Criminal Code of Georgia is the legal basis for the fight against terrorism, which criminalizes acts of terrorism and imposes appropriate sanctions.

The first chapter of the work reviews bibliography. The second chapter discusses the simple composition of a terrorist act, which includes the subjective and objective components of the mentioned act. The same chapter discusses the threat of committing a major act of terrorism.

The third chapter covers the qualified composition of a terrorist act. Which details the aggravating circumstances of the terrorist act and the consequences of the crime.

The fourth chapter discusses the other terrorist crimes that pose a particular threat to the modern world and Georgia itself. International trends in this direction and how the fight against terrorism is being carried out in Georgia are discussed.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, the main topic (divided into chapters and subsections), conclusion and a list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და აშშ-ს პენტაგონის შენობაზე 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი სასიკვდილო თავდასხმების შემდეგ ტერორიზმის მანკიერი მხარეები უფრო ნათლად დაილექა ადამიანების ცნობიერებაში. მსოფლიომ თითქოს ახალი გვერდი გადაშალა იმ გამოწვევების წინაშე, რომლებსაც აქამდე არავინ ელოდა. ტერორიზმის საფრთხე გავლენას ახდენს ყველა დიდ და მცირე საზოგადოებაზე, ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ ცალკეული ტერორიზმის გამოვლინებები გლობალურ შედეგებს იწვევს. წარსულში ტერორისტების მთავარ იარაღს ასაფეთქებელი მოწყობილობები და ცეცხლსასროლი საშუალებები წარმოადგენდა, ახლა ისინი ბიოლოგიურ და მასობრივი განადგურების იარაღებს მიმართავენ. ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად ტერორისტები სწავლობენ ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც ბევრად უფრო მომაკვდინებელია ვიდრე წარსულის ნებისმიერი ბომბი. ტერორისტული აქტები ძირითადად განზრახ სანახაობრივია, რომლის მიზანსაც ფართო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. ტერორიზმი იყენებს ძალადობას ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად და პოლიტიკური ცვლილებების მისაღწევად. ამ ყველაფრის მიღმა ტერორისტებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა: გარკვეული ადამიანების მხარდაჭერა მოაპოვებინოს; საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მოიზიდონ პირები; მოახდინონ საზოგადოების პოლარიზება; გააღვივონ არსებული კონფლიქტები; მოახდინონ საკუთარი ძალის დემონსტრირება, აჩვენონ ადამიანებს ტკივილის მიყენების შესაძლებლობები, ძირი გამოუთხარონ სახელმწიფოებს და სხვ.

ტერორიზმთან ბრძოლაში კომპლექსური მიდგომაა საჭირო, მათ შორის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებთან იქნება შესაბამისობაში მოსული. ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ ტერორიზმის თავში არაერთი ცვლილება და დამატება განხორციელდა, რაც დეტალურ განხილვას საჭიროებს.

კვლევის მიზანი. ნაშრომის მიზანია: ტერორისტული აქტისა და სხვა მომიჯნავე დანაშაულების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოკვლევა; სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ ტერორიზმის დანაშაულთა თავისებურებების განხილვა და მათი ანალიზი; საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, სიღრმისეულად გამოკვლეული იქნას სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა კვალიფიკაციის სპეციფიკა. განიხილოს ისინი ცალ-ცალკე და შემაჯამებელი დასკვნა გამოიტანოს.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას, ვიხელმძღვანელე სამეცნიერო და ნორმატიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. თემის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ინტერნეტ-რესურსებიც, რაც დამეხმარა გამომევლინა ტერორიზმთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომები და ხაზი გამესვა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისთვის.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ კვლევა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ტერორიზმის გარშემო. ასეთები იყო: ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; ი. დვალიძე, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით; გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება; ბ.ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია. მათი მეშვეობით, ჩემ მიერ მრავალმხრივ იქნა დანახული საკვლევი თემის აქტუალობა, ზემოთხსენებული ლიტერატურაში დაწვრილებით მოიძიება საკითხის ძირითადი მახასიათებლები. არაერთი ორიგინალური და საინტერესო კვლევა იქნა მოძიებული შემდეგ ნაშრომებში: დ. სუჯაშვილი, ბავშვები-ტერორიზმის მომავალი; გახოკიძე, ლეკვეიშვილი, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები; ა. ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში; ბ. ჯიშკარიანი, თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში: გააზრებული ცვლილებები თუ ნაჩქარევი რეაქციები ცალკეულ გამოწვევებზე; კ. წერეთელი და სხვა, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე; ვ.გოდერძიშვილი, ტერორიზმის ფორმები და მათთან დაკავშირებული უახლოესი გამოწვევების ანალიზი. ტერორიზმთან დაკავშირებული უახლესი ტენდენციებისა და გამოწვევების ანალიზისას, მნიშვნელოვანი საკითხები მოვიძიე შემდეგ ნაშრომებში: ნ. ფარსადანიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა; მ. თოხაძე 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: საქართველოს კანონი ტერორზმთან ბრძოლის შესახებ; სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს კანონი საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ; საქრთველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ; საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 2003; საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ;

ქართული ლიტერატურის მსგავსად, საკვლევი მასალიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი იყო უცხოური ლიტერატურის გამოყენებაც, რომლებიც ინტერნეტ ბიბლიოთეკების მეშვეობით მოვიძიე: Alex Schmid, Terrorism - The Definitional Problem, 36 Case

W. Res. J. Int'l L. 375, 2004; Dr. Edwin Bakker Dr. Beatrice de Graaf, Lone Wolves How to Prevent This Phenomenon?, Expert Meeting Lone Wolves November, 2010; Vito D'Orazio & Idean Salehyan, Who is a Terrorist? Ethnicity, Group Affiliation, and Understandings of Political Violence, International Interactions, 2018; Nina Jorgensen, Children associated with terrorist groups in the context of the legal framework for child soldiers, 2019; Military and Paramilitary Activities in and Against Nicaraqua, I.C.J. Rep. Judges Schewebel; John Horgan & Max. Taylor, The provisional Irish republican army: Command and functional structure, Terrorism and Political Violence, 1997; Mahmut Aytekin, Radicalisation processes of the Kurdistan Workers Party (PKK): ideology and recruitment tactics, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 2019; Alison Jamieson, Identity and morality in the Italian red brigades, Terrorism and Political Violence,1990; John M. Nomikos, Terrorism, Media, and Intelligence in Greece: Capturing the 17 November Group, International Journal of Intelligence and CounterIntelligence, 2017; Mary Beth Altier, John Horgan, and Christian Thoroughgood, Returning to the Fight: What the Literature on Criminal Recidivism Can Contribute to our Understanding of Terrorist Recidivism, The Pennsylvania State University; Robert Jay Lifton MD, Aum Shinrikyo, Journal of Aggression, Maltreatment & Trauma, 2004; Anna Marie Brennan, Transnational Terrorist Groups and International Criminal Law, 1ST edition, 2020; Dalbir Ahlawat & Khuram Iqbal, Knowing al-Qaeda: the epistemology of terrorism, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 2004; Bader Al-Ibrahim, ISIS, Wahhabism and Takfir, Contemporary Arab Affairs, 2015; Adriana Curto, Hezbollah: A Short History, Hezbollah: An Outsiders Inside View, Small Wars & Insurgencies, 2016; Theo Farrell, Taliban Narratives: The Use and Power of Stories in the Afghanistan Conflict, The RUSI Journal, 2018; Lee Jarvis & Stuart Macdonald, What Is Cyberterrorism? Findings From a Survey of Researchers, Terrorism and Political Violence, 2015; Biswas, B. and Sana, A.K. ,"Issues in Terrorism Financing: An Analysis", Das, R.C. (Ed.) The Impact of Global Terrorism on Economic and Political Development, Emerald Publishing Limited, Bingley, 2019; HASLERUD Gjermund (HiA), TRANØY Bent Sofus (UiO), FIGHTING TERRORIST FINANCE - Issues, Impacts and Challenges, 2005; ზემოთხსენებულ ლიტერატურაში როგორც ზოგადად ტერორიზმზე, ასევე მის ცალკეულ გამოვლინებებზე თანამედროვე მიდგომები და კვლევები არის წარმოდგენილი.

ნაშრომში ასევე ვრცლად არის განხილული შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები: Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020; Council of Europe's anti-money laundering body MONEYVAL, Money Laundering and Terrorism Financing Risk Assessment of Georgia report, 2019; FATF Recommendations 2012.

თავი II. ტერორისტული აქტის ძირითადი შემადგენლობა

2.1 ტერორიზმის დეფინიცია და ტერორისტული აქტის მარტივი შემადგენლობა

ტერორიზმის საერთო დეფინიციაზე მსოფლიო ერთხმად არ ჩამოყალიბებულა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რატომ არის ასეთი რთული ტერორიზმის განმარტება და შესაძლებელია თუ არა ობიექტური და წყალგაუმტარი დეფინიციის პოვნა, რომელიც დააკმაყოფილებს, როგორც იურიდიულ, ისე სამეცნიერო კრიტერიუმებს. ტერორიზმი ზოგადად არის სადაო ცნება, რომელზეც პოლიტიკური, იურიდიული, სოციალური მეცნიერების წარმოდგენები შეიძლება განსხვავდებოდეს. მისი დეფინიციის საკითხი უკავშირდება დე-ლეგიტიმაციას და კრიმინალიზაციას. საკითხს ართულებს ისიც, რომ არსებობს ტერორიზმის მრავალი ტიპი, განსხვავებული ფორმები და მანიფესტაციები.[1]

ტერორიზმის დეფინიციის განსაზღვრა უპირობოდ უკავშირდება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, თუ რა იგულისხმება საკუთრივ ტერორიზმში, როგორც დანაშაულში. ტერორიზმის ცნების დადგენასთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა წლების განმავლობაში . ამის დადასტურებაა ის, რომ 1937 წელს ერთა ლიგამ შეიმუშავა კონვენციის ტექსტი, რომელიც ეხებოდა ტერორიზმის პრევენციასა და დასჯას, თუმცა მისი რატიფიცირება მხოლოდ ინდოეთმა მოახდინა, რის გამოც ის არასოდეს შესულა ძალაში. მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა, უფრო ზუსტად კი 1960-1970 წლებში მომხდარმა თავდასხმებმა ყაჩაღობის ფაქტებმა და მკვლელობების სერიამ სერიოზულად ჩააფიქრა საერთაშორისო თანამეგობრობა და გაეროს ეგიდით დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რომ საჭირო იყო ისეთი ქმედითი ინსტრუმენტის გამოყენება ტერორიზმთან საბრძოლველად, რომელიც შეძლებდა ამ საერთაშორისო დანაშაულის აღმოფხვრას. შესაბამისად 1970 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია[2], რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განმტკიცების ძალის მქონედ იქნა მიჩნეული და რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს თავი შეიკავონ ტერორისტული ქმედებებისგან სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე[3]

ევროკავშირის დირექტივა 2017/541 ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, ავალდებულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შიდა კანონმდებლობაში მოახდინონ ამ დირექტივის

---

[1] Alex Schmid, Terrorism - The Definitional Problem, 36 Case W. Res. J. Int'l L. 375 (2004) p.23

[2] United Nations General Assembly resolution 2625 (1970)

[3] ნ. ფარსადანიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (თბ,2011)-ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა გვ.267-268

იმპლემენტაცია, სადაც განმარტებულია, რომ ტერორისტული დანაშაულები წარმოადგენს იმ საერთაშორისო აქტებს, რომელთა ბუნება და შინაარსი სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციებს აყენებს ზიანს და მიმართულია: მოსახლეობის დაშინებისკენ; აიძულოს მთავრობები განახორციელონ/არ განახორციელონ გარკვეული ქმედებები; მნიშვნელოვნად მოახდინონ ფუნდამენტალური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური და სოციალურ სტრუქტურათა დესტაბილიზაცია ან/და განადგურება.[4]

ტერორიზმის ფორმის განსაზღვრაში მთავარია ის, თუ რა მიზნით ხორციელდება ძალადობრივი აქტები. ტერორისტულ აქტს პოლიტიკურად აქცევს მისი მოტივები და მიმართულება. ტერორისტული საქმიანობის პოლიტიკური ხასიათი ძირითადად პრინციპულად განსხვავდება სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთაგან, თუმცა მათ შორის გარკვეული მსგავსებაც არსებობს: სისხლის სამართლის დამნაშავეებიც და ტერორისტებიც შეგნებულად არღვევენ კანონს; მათ მიერ გამოყენებული რიგი საშუალებები ერთნაირია; არცთუ იშვიათად ტერორისტები თავიანთ საქმიანობაში აბამენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ტერორისტები ცდილობენ დააშინონ საზოგადოება, შეცვალონ სახელმწიფო წყობა, საშინაო პოლიტიკა და ა.შ. ძირითად შემთხვევაში სისხლის სამართლის სხვა დამნაშავეები კი, პირიქით, ცდილობენ ყურადღება არ მიიქციონ. მაგალითად, ბანკის გაძარცვა ტერორისტისთვის დამხმარე აქციაა, სისხლის სამართლის სხვა დამნაშავისთვის კი ძირითადი. ტერორისტულმა აქტმა უნდა შეაძრწუნოს საზოგადოება თავისი სისასტიკით, და იქცეს ხელისუფლებაზე ზემოქმედების საშუალებად, შესაბამისად ტერორისტები არ მალავენ თავიანთ კავშირს დანაშაულთან, სისხლის სამართლის სხვა სუბიექტები კი ცდილობენ თავი არ გამოამჟღავნონ.[5]

2019 წლის 23 იანვარს დამტკიცებულ საქართველოს კანონში „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“ ტერორიზმი განმარტებულია, როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების

[4] Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15 March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA

[5] დ.მალხაზიშვილი, ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოსთვის, 2006 https://rb.gy/fjick8 (ბოლოს გადამოწმდა: 14.05.2021)

გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“ ამავე კანონის თანახმად ტერორისტი, არის „პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში“. სტრატეგიის მიზანია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისად მნიშვნელოვანია უშუალოდ განემარტა თუ რაც მიიჩნევს სახელმწიფო ტერორიზმად და შემდეგ მასთან ბრძოლის რა მექანიზმებს აყალიბებს იგი.

ის აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს მართლწესრიგს. ხელყოფს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ტერორიზმი არღვევს საზოგადოებაში უსაფრთხოების, სიმყუდროვის, სტაბილურობის ატმოსფეროს და ართულებს სახელმწიფო უწყებათა ნორმალურ ფუნქციონირებას, შესაბამისად ტერორისტული ქმედება მრავალობიექტიანი დანაშაულია, რომლის ხელყოფის საგანი განსხვავებულია - დაწყებული მოსახლეობის მასობრივი განადგურებიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივ უშიშროებამდე; მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემიდან სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებამდე.[6]

ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებით ბრძოლაში მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა. საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონები, მათ შორის, საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები.[7]

ჩვენი კვლევის საგანია მატერიალურ კანონი, რომელსაც საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს. სწორედ კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი.[8] ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში (დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ) შევიდა ცალკე თავი - ტერორიზმი, სადაც დღეისათვის 21 მუხლია, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა დეფინიციები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რომელმაც ასე კონკრეტულად დააკვალიფიცირა ტერორისტულ დანაშაულთა ცალკეული

---

[6] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.266

[7] საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 5

[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1

გამოვლინებები.[9] დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს, ტერორისტული ხასიათის დანაშაულებმა კარდინალური ცვლილებები და დამატებები განიცადა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ეტაპობრივად ახორციელებს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთშორისო ხასიათის ნორმათა იმლემენტაციას, რაც საერთაშიროსო კონვენციებიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემადგენელი ნაწილია[10] სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ტერორისტული ხასიათის დანაშაულები 38-ე თავში გააერთიანა. მასში არის ტრადიციული ტერორისტული ქმედებაც და მსოფლიო პრაქტიკის გააზრებით შექმნილი დელიქტებიც. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე 38-ე თავში გაერთიანებული დანაშაულები ვერ ჩაითვლება ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა ამომწურავ ჩამონათვალად,[11] თუმცა ტერორისტულ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საქართველოს სისხლის სამართლის XXXVIII თავით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩასადენად, ანდა დაკავშირებულია აღნიშნული დანაშაულის ჩადენასთან, ანდა ჩადენილია იმ პირების მიერ, რომელთაც განზრახული აქვთ ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენა.[12]

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ტერორიზმის თავში ძირითადი ცვლილებები 2013-2015 წლებში განხორციელდა. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ დასჯადი გახდა მთელი რიგი ქმედებების ტერორისტული მიზნით განხორციელება. კოდექსის თანახმად დასჯადია ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, როგორიცაა: ტერორისტული ორგანიზაციის საჯარო მხარდაჭერა, ტერორისტული საქმიანობისკენ მოწოდება, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა და ა.შ.[13]

სისხლის სამართლის კოდექსის მე-38 თავი იხსნება 323-ე მუხლით რომელიც შედგება 3 ნაწილისგან. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ტერორისტული აქტის შემადგენლობა. თვითონ დისპოზიცია აღწერილობითი ხასიათისაა, რომელშიც ქმედების ნიშნები გადმოცემულია მეტ-ნაკლები სირთულით, ისე, რომ შესაძლებელი ხდება ქმედების უფრო ზუსტი კვალიფიკაცია, შესაბამისად ამ მუხლის გამოყენება უფრო მარტივი ხდება, მიუხედავად

---

[9] ჯ. გახოკიძე, დ. ლეკვეიშვილი, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები გვ.4

[10] ი. დვალიძე-ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბ., 2017წ. გვ.14

[11] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.268

[12] გ. გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება თბ.,2011წ, გვ169

[13] ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია, 23 იანვარი, 2019 წ, გვ.8

იმისა, რომ ტერორიზმი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი დანაშაულებრივი ქმედებაა.[14] ტერორისტული აქტი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტია, რომელიც გამოიხატება აფეთქებაში, ცეცხლის წაკიდებაში, ადამიანზე თავდასხმაში, იარაღის გამოყენებაში ან სხვა ქმედებაში, თუ მან შექმნა კანონში მითითებული მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროება. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებათა დეფინიციები:

აფეთქება- გულისხმობს რამის აალებას ნივთიერების მყისიერად დაშლისა და ძლიერ გახურებული გაზების წარმოქმნის შედეგად, რასაც თან ახლავს დიდი ხმა და დამანგრეველი ძალა.

ცეცხლის წაკიდება- ანუ აალება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ხანძარი და წარმოქმნილი ცეცხლით ქონების განადგურება, შეიძლება განხორციელდეს პიროტექნიკური საშუალებით, ელექტროსადენების შეერთებით,ჩვეულებრივი ასანთით და ა.შ.

იარაღის გამოყენება- გულისხმობს ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღის (არამასობრივი განადგურების იარაღით) სარგებლობას მოსახლეობის დასაშინებლად ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედებისთვის.

სხვა ქმედება- (აფეთქების, ცეცხლის წაკიდებისა და იარაღის გამოყენების გარდა) შეიძლება გამოიხატოს მეწყერის გამოწვევაში, წყლის მიშვებაში, ავარიის მოწყობაში, ტრანსპორტზე კატასტროფის ან მარცხის გამოწვევაში და სხვ.

2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით 323-ე მუხლის 1[1] ნაწილით დასჯადი გახდა 323-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მუქარა. 323-ე მუხლის მე-2 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია იმავე ქმედების ჩადენა ჯგუფურად, არაერთგზის და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით.

323-ე მუხლის მე-3 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს 1-ლი, 1-ლი პრიმა ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა.[15] სისხლის სამართლის 323-ე მუხლის ბოლოს მოცემულია შენიშვნის სახით ტერორისტული მიზნის განმარტება „ტერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების

[14] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა მერიდიანი 2016, გვ82.
[15] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.272-274

დესტაბილიზაცია ან განადგურება“. იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც შენიშვნაშივეა მოცემული.

ტერორისტები სსკ-ის 323 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ ქმედებებს, როგორც წესი ახორციელებენ მასობრივი თავშეყრის ადგილებზე (საპროტესტო აქციები, სპორტული ღონისიებები, კონცერტები, სადღესასწაულო შეკრებები, კონფერენციები და ა.შ) სტრატეგიულ ობიექტებზე, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე და სხვა. ტერორისტების მიზანია დაამსხვრიოს საზოგადოებაში არსებული უსაფრთხოების განცდა. ხშირად მათი თავდასხმის ობიექტია პოლიტიკური ან ეკონომიკური სიმბოლოები, მაგალითად საელჩოები. ამით ისინი ცდილობენ პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ პროპაგანდის აგორებას. ზოგიერთი დეფინიციის მიხედვით, ნებისმიერი ტერორისტული აქტი, მიუხედავად პოლიტიკური მოტივაციისა, არის კრიმინალური აქტი. ასეა განმარტებული ტერორიზმი აშშ-ში. თუმცა კრიმინალის განსაზღვრება პრობლემატურია, რადგან იგი არ ასხვავებს პოლიტიკურ მოტივებს და ვერ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა ძალადობრივი თავდასხმა მთავრობის წინააღმდეგ ლეგიტიმურია. მაგალითად, აფრიკის ნაციონალური კონგრესი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელიც დაუპირისპირდა აპართეიდის მომხრე მთავრობას, თუმცა მათ მსოფლიო მხარდაჭერა დაიმსახურეს. კიდევ ერთი მაგალითია საფრანგეთში ნაცისტური ოკუპაციის წინააღმდეგ მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.[16]

ქმედების ტერორისტულ აქტად, ტექნოლოგიურ ტერორიზმად და კიბერტერორიზმად კვალიფიკაციის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაადგინოს ტერორისტთა მიზანი, რადგან ამას მოითხოვს კანონიერების პრინციპი.[17] მიუხედავად იმისა ეს მიზანი კეთილშობილურია თუ არა, რასაც ზემოთხსენებულ რიგი შემთხვევებისა ნათლად ასახავს, ის მაინც დაკავშირებულია ისეთ ძალადობრივ ხერხებთან, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას. შეუძლებელია მოსახლეობის დაშინინებისკენ მიმართული ქმედებები, ან ისეთი ქმედებები რომელიც საფრთხეს უქმნის უდანაშაულო მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საპირწონედ დავუყენოთ თუნდაც არალეგიტიმურ სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედების მიზანს.

2.2 ტერორისტული აქტის ობიექტური შემადგენლობის ძირითადი ნიშნები

[16] .http://yata.ge/ge/?p=1585 (ბოლოს გადამოწმდა: 5.05.2021)

[17] გ.გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011წ, გვ156

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ახდენს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების, გარესამყაროში მომხდარი ადამიანური ქცევების უმართლობად ტიპიზირებას. ქმედების, ამ შემთვევაში ტერორისტული აქტის ობიექტური ანუ გარეგანი ნიშნები არის არსობრივად აღქმადი საგნები და მოვლენები. სუბიექტი, სამართლებრივი სიკეთე (ობიექტი), ქმედების შედეგი, მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და დამდგარს შორის და შედეგის ობიექტური შერაცხვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითადი ნიშნებია. უპირველესად მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რომ ტერორისტული აქტის განხორციელების აუცილებელი პირობაა, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა. სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის ორი სახის: ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე (სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა.შ) და საყოველთაო სამართლებივი სიკეთე (სახელმწიფო კონსტიტუციური წეს-წყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი და ა.შ).[18] ტერორისტული აქტის შემთხვევაში ხელყოფის ობიექტია სახელმწიფო უშიშროება. ტერორიზმი თავისი ობიექტური ნიშნებით გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც მიმართულია კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის, ან ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობის სიცოცხლის წინააღმდეგ. მას თან ახლავს შეიარაღებული ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა, შესაძლებელია ასევე თან ახლდეს გამოძალვა. ტერორისტული აქტი გამოიხატება რაიმე ობიექტის დაზიანებაშიც ან მისი განადგურების მცდელობაში.[19]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის 323-ე მუხლში მოცემული ქმედების ამსრულებელია როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი ასევე იურიდიული პირი. ფიზიკური პირი შესაძლოა მოქმედებდეს დამოუკიდებლად ან რომელიმე ექსტრემისტულ/ტერორისტული ორგანიზაციის დავალებით. ბოლო დროს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ ტერორისტულ აქტს „მარტოხელა მგლებად“ მოიხსენიებენ ეს ტერმინი ფართოდ არის დამკვიდრებული მსოფლიოში. მას განმარტავენ როგორც ადამიანს, რომელიც მოქმედებს საკუთარი სურვილების შესაბამისად ორგანიზაციის დავალების ან თუნდაც მასთან კავშირის გარეშე.[20] ასეთი პირების კონტროლი საკმაოდ რთულია, რადგან განსხვავებით ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლისა, რომლის მოქმედებებიც უშუალოდ კავშირშია ორგანიზაციის აქტიურობასთან რომლის მეტ-ნაკლები მონიტორინგიც სახელმწიფოს შეუძლია, მარტოხელა

[18] მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.,2013წ. გვ 72-83

[19] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017. გვ 266-267

[20] Burton and Stewart, 2008 https://worldview.stratfor.com/article/lone-wolf-disconnect (ბოლოს გადამოწმდა: 18.05.2021)

მგლის შემთხვევაში ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან წარმოდგენელია იმის პროგნოზირება, თუ როდის მოახდენს დამოუკიდებლად მოქმედი პირი თვით-გააქტიურებას. მარტოხელა მგლის ქმედებები პოლიტიკურად ან რელიგიურად არის მოტივირებული და მიზნად ისახავს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოხდენას. მარტოხელა მგელი და ძალადობრივი ექსტრემისტი მომიჯნავე განსაზღვრებებია, რომელთა შორისაც მოიაზრებენ რელიგიურ პირებს, ჯიჰადისტებს, გარემოს დამცველ ექსტრემისტებს, ულტრა-მემარჯვენე და „თეთრი უპირატესობის“ მომხრე პირებს და ა.შ. ადამიანები რომლებიც, რწმენის სახელით ამართლებენ თავიანთ ძალადობრივ ქმედებებს, შესაძლოა წარმოადგენდნენ ნებისმიერ რელიგიას, მათ შორის ისლამისტ „მარტოხელა მგლებს“ როგორიცაა ნიდალ მალიკ ჰასანი (Nidal Malik Hassan) და აბდულჰაკიმ მუჯაჰიდ მუჰამედი (Abdulhakim Mujahid Muhammad) რომლებმაც ცეცხლი გახსნეს აშშ-ს სამხედრო ოფისთან, ასევე ამ ჩარჩოში განიხილება ანტი-სემიტი/ქრისტიანი ექსტრემისტებიც როგორიცაა ბუფორდ ფუროუ (Buford Furrow), რომელიც აშშ-ს შტატ კალიფორნიაში თავს დაესხა ებრაულ საზოგადოებრივ ცენტრს, მათ რიგებშია ასევე პროტესტანტი რადიკალები სკოტ როდერი (Scott Roeder) და ჯეიმს კოპი (James kopp), რომლებმაც მოკლეს ექიმი რომელიც აბორტს ახორციელებდა.[21]

საქართველოში „მარტოხელა მგლის“ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვოვა არუთინოვი, რომელიც 2005 წლის 10 მაისს ტერაქტის მოწყობით თბილისში ჩამოსული აშშ–ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მოკვლას აპირებდა.[22] დღემდე დაუდგენელია არუთინოვის მიერ ტერაქტის განხორციელების გამოკვეთილი მოტივი. არ არსებობს მტკიცებულებები მის რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის, შესაბამისად ეს კონკრეტული მოვლენა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი პირის მიერ ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობად.

ერთი მხრივ „მარტოხელა მგელი“ ცალკეულ საფრთხესთან ასოცირდება, თუმცა მეორეა, როდესაც ექსტრემისტს დიდ ორგანიზაციასთან აქვს კავშირი, ე.ი. მას ჰყავს რადიკალური შეხედულებების მქონე უამრავი თანამოაზრე. ორგანიზაციასთან აფილირებულ პირებს გააჩნიათ ტექნიკური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა, რაც ცალსახად ზრდის უფრო დამანგრეველი თავდასხმების განხორციელების რისკს.[23]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედების სუბიექტი სიახლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი უნდა იყოს, მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ტერორისტულ აქტს 14

[21] Dr. Edwin Bakker Dr. Beatrice de Graaf, Lone Wolves How to Prevent This Phenomenon?, Expert Meeting Lone Wolves November 2010. P.2

[22] გადაიხედება თუ არა ვოვა არუთინოვის საქმე, ნეტგაზეთი, 2012 https://netgazeti.ge/news/16961/ (ბოლოს გადამოწმდა: 18.05.2021)

[23] Vito D'Orazio & Idean Salehyan (2018): Who is a Terrorist? Ethnicity, Group Affiliation, and Understandings of Political Violence, International Interactions Pg 7

წელს მიუღწეველი მცირეწლოვანი პირი ჩადის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ბავშვების გადაბირება, აღნიშნული საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. ბავშვების გამოყენება ხდებოდა და ხდება, პალესტინური ტერორისტული დაჯგუ-ფებების, „ჰამასის", „ალ-ქაიდას", „თამილელი ვეფხვების", „ალ-შაბაბის" და სხვათა მიერ. პირველი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში სწორედ 14 წლის სნაიპერმა იმსხვერპ-ლა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2009 წლიდან „ბოკო ჰარამმა" ნიგერიაში დაახლოებით 8,000 ბავშვის რეკრუტირება განახორციელა. ასევე, გაეროს ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) სირიაში 274 ბავშვის რეკრუტირება შეძლო, ხოლო სამხედრო წვრთნები უტარდებოდა სულ ცოტა 124 ახალგაზრდას, რომელთა ასაკი 10-სა და 15 წელს შორის მერყეობდა.[24]

ტერორისტული ჯგუფების მიერ ბავშვების გადაბირება და ექსპლუატაცია არ არის ახალი მოვლენა. ერთ-ერთი პირველი საქმე ბავშვთა ტერორიზმში ჩაბმასთან დაკავშირებით, რომელიც საერთაშორისო სისხლის სასამართლოში აღიძრა ეხებოდა ჯოზეფ კონის მიერ ჩამოყალიბებული მოძრაობის საქმიანობას, რომელიც „წინააღმდეგობის ჯარი ღმერთის სახელით" (LRA) არის ცნობილი. ხსენებული ორგანიზაცია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორისტთა სიაში შეიყვანა[25], ხოლო აფრიკის კავშირმა 2011 წელს იგი ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა.[26]

ერთია როცა ბავშვები ტერორისტულ ორგანიზაციებში ერთიანდებიან და ძალადობრივ ქმედებებს შიშის ფსიქოლოგიური ზეწოლის, და იძულების გამო ჩადიან, მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ისინი საკუთარი გადაწყვეტილებით, როგორც მოხალისეები ისე ახორციელებენ ზემოთხსენებულ ქმედებებს. ალბათ ნებისმიერ შემთხვევაში 14 წელს მიუღწეველი პირი უნდა აღიქმებოდეს როგორც მსხვერპლი. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დადგება, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იზრუნოს მცირეწლოვნების დე-რადიკალიზაციის და რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართვაზე.

ტერორისტული აქტის სუბიექტი შესაძლებელია იყოს იურიდიული პირიც. ზოგადად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შემოღებულ იქნა 2006 წლის 25 ივლისის კანონით. სსკ-ის 107² მუხლის თანახმად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, მხოლოდ მაშინ თუ ის კოდექსის

[24] დ.სუჯაშვილი, ბავშვები-ტერორიზმის მომავალი, თბ 2020წ. გვ 13-14
[25] US State Department, Terrorist Exclusion List, Section 411 of the USA PATRIOT ACT of 2001 (8 USC § 1182)
[26] Nina Jorgensen, Children associated with terrorist groups in the context of the legal framework for child soldiers,june 30,2019

შესაბამისი მუხლით არის განსაზღვრული. სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნაში გაწერილია ტერორისტული აქტის ჩამდენი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც სანქციად ითვალისწინებს ლიკვიდაციას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან ჯარიმას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ტერორისტული აქტი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი, ტერორისტული აქტის დისპოზიციის მიხედვით, არის საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესები.[27] შესაბამისად, ტერორისტული აქტი მრავალობიექტიანი დანაშაულია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს (სტრატეგიულს, პოლიტიკურს, ეკონომიკურ), ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ვინაიდან მოსახლეობაში ბადებს შიშს, უმწეობისა და დაუცველობის განცდას ტერორისტთა წინაშე. ხელყოფის დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება. 2012 წლის 2 მარტს სსკ-ის 323 მუხლში ამოღებულ იქნა ხელყოფის ობიექტზე მითითება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოღება ხელყოფის ობიექტთა ჩამონათვალიდან შესაძლოა ნაკარნახები იყოს სსკ-ის 229-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით, რადგან ამ ინტერესს აფეთქებაც ხელყოფს, თუმცა საზოგადოებრივი უსაფრთხოება ნებისმიერი ტერორისტული დანაშაულის თანმდევი შედეგია, ძირითადი ობიექტი კი სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესია. [28]

ტერორისტები სამიზნეებს იმის მიხედვით არჩევენ თუ რომელ მათგანზე ზემოქმედება გამოიწვევს დიდ რეზონანსს. ამიტომაცაა, რომ ისინი ხშირად არჩევენ ისეთ ობიექტებს, რომელთა დაზიანებასაც მასშტაბური შედეგები მოჰყვება, რომელიც გამოიწვევს სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების მოშლას და საზოგადოებაში გააჩენს მასობრივ შიშს. სსკ-ის 323-ე მუხლის პირველ ნაწილში შედეგი არ გვაქვს და ისჯება თავისთავად კანონში მითითებული ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროების შექმნისთვის.[29]

---

[27] ვ. გოდერძიშვილი, მეცნიერ-ხელმძღვანელი: ამირან მოსულიშვილი, ტერორიზმის ფორმები და მათთან დაკავშირებული უახლოესი გამოწვევების ანალიზი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი თბ., 2017, გვ 45-46.

[28] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.272

[29] იქვე გვ.273

2.3 ტერორისტული აქტის სუბიექტური შემადგენლობა

ტერორისტული აქტი განზრახი დანაშაულია, მართალია თანმდევი შედეგის მიმართ, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებლობასაც, მაგრამ მთლიანობაში ასეთი დანაშაული მაინც განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ტერორისტული აქტის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს როგორც მოტივი და მიზანი, ასევე ხერხები და საშუალებები. ტერორისტული აქტი შეიძლება მიზნად ისახავდეს პოლიტიკური წყობილების შეცვლას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ოფიციალური იდეოლოგიის სახით განსაზღვრული სოციალური, რელიგიური ეთნიკური სტანდარტების თავის მოხვევას, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსებით შეცვლას დაპატიმრებული ტერორისტების გათავისუფლებას, სტაბილურობის შერყევას და საზოგადოების დაშინებას, საომარ მოქმედებათა პროვოცირებას, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ზიანის მიყენებას და ა.შ.[30]

2013 წლის 27 ნოემბრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი, რის შემდეგაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რიგი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ განმარტებითი ბარათის მიხედვით ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად პროექტში ტერორისტული მიზნით ჩადენილი დანაშაულებისთვის ზუსტდება, თუ რა ჩაითვლება „ტერორისტულ მიზნად“. კერძოდ, ტერორისტულ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სერიოზული დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.[31]

მოქმედების მასშტაბის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფო, საერთაშორისო და შიდასახელმწიფო ტერორიზმს. ტერორიზმის კლასიფიკაციის უპირველეს საფუძვლად მისი მასშტაბურობა უნდა ავიღოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სხვა კლასიფიკაცია ამ ორი ორი პარამეტრის შიგნით უნდა მოვახდინოთ.[32]

აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) განმარტავს საერთაშორისო და შიდასახელმწიფო ტერორიზმს შემდეგნაირად:

---

[30] იქვე გვ.267,275

[31] განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/30009? (ბოლოს გადამოწმდა: 20.05.2021)

[32] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.268

- **საერთაშორისო ტერორიზმი**- ძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი პირების ან/და ჯგუფების მიერ, რომლებიც შთაგონებულები არიან ან ასოცირდებიან უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ან იმ ქვეყნებთან რომლებიც ასპონსორებენ ტერორიზმს.
- **შიდასახელმწიფო ტერორიზმი**- ძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი ინდივიდებისა ან/და ჯგუფების მიერ, შიდა გავლენის შედეგად წარმოშობილი იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. მაგალითად ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, რასობრივი, ან გარემოსდაცვითი ხასიათის.[33]

საერთაშორისო ტერორიზმად შესაძლებელია მივიჩნიოთ ტერორისტული აქტივობის ისეთი სახე, რომელიც სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ანდა მასში მონაწილე პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ან მუდმივად მაცხოვრებლები არიან ანდა ხორციელდება ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი სახეზეა, როდესაც ტერორისტული აქტივობა არ სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. განმახორციელებელი სუბიექტების მიხედვით, შეიძლება არსებობდეს ჯგუფურ-ორგანიზაციული, ინდივიდუალური ან სახელმწიფო ტერორიზმი.[34]

რაც შეეხება **ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერას,** მასში უპირველესად იგულისხმება: ტერორიზმის სხვადასხვა ფორმით დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა; ქვეყანაში მოქმედი ტელე-რადიოსადგურებით, ტერორიზმის მხარდამჭერი გადაცემების გავრცელება; ბეჭდვითი საშუალებების მასობრივი გამოშვებას და ა.შ. ტერორისტებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა; ტერორისტული აქტის მხარდაჭერა; საერთაშორისო სამართლებრივი აქტების იგნორირება; ქვეყანაში ტერორიზმის წინააღმდეგ სათანადო სამართლებრივი ნორმატიული აქტების უქონლობა და ა.შ. ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების არსებობა და მათ მიერ ამ მანკიერი მოვლენის მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმით გამომჟღავნება მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას აიძულებს, მიიღოს დამატებითი უსაფრთხოების ზომები.[35]

რაც შეეხება ტერორისტთა აღჭურვას, მომარაგებას ლობირებას და ასე შემდეგ, ძალის გამოყენების დასაშვებობასთან დაკავშირებით აზრი ორად არის გაყოფილი. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ნიკარაგუის საქმეზე, კერძოდ, ერთი მოსაზრებით სახელმწიფოს მიერ ტერორისტთა ლობირება, დახმარება, დაფინანსება არღვევდა საერთაშორისო სამართალს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მსხვერპლი სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენების გასამართლებლად. ამის საპირისპიროდ მოსამართლეებმა - შვებელმა და ჯენინგსმა- აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ტერორისტთა დახმარება უკვე საკმარისია იმისათვის, რათა ამ

[33] FBI, Terrorism Definitions https://www.fbi.gov/investigate/terrorism (ბოლოს გადამოწმდა: 25.05.2021)
[34] გ. გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბ., 2011, გვ.49
[35] ბ. ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბ.,2019. გვ.19

სახელმწიფომ პასუხი აგოს ტერორისტული აქტის განხორციელების გამო.[36] როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, ,,ეს საკითხი ფრიად ბუნდოვანია და ცალმხრივად გადაწყვეტილი არ არის. სახელმწიფოებს კიდევ რჩებათ დიდი თავისუფლება მანევრირებისთვის."[37]

ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია შესაძლებელია ძირითადი ნიშნის- მოტივისა და მიზნის და არაძირითადი- გამოყენებული ხერხის და საშუალების, სამოქმედო ფარგლების, განმახორციელებელი სუბიექტის მიხედვით. სამოქმედო მოტივაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს. იმის მიხედვით, თუ რა არის ტერორისტების სამოქმედო მოტივი და სავარაუდო სასურველი შედეგი, ტერორისტული აქტივობის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს რელიგიურ, სეპარატისტულ, ეთნიკურ მემარჯვენე, მემარცხენე და სხვა მოძრაობებად.[38]

2020 წლის ევროპოლის მიერ გამოქვეყნებულ ევროკავშირის ტერორიზმის მდგომარეობისა და ტენდენციათა ანგარიში (TESAT) მოტივის მიხედვით ტერორიზმის სახეების თანამედროვე დიფერენცირებას ახდენს, სადაც გამოყოფს: ჯიჰადისტურ, ეთნო-ნაციონალისტურ და სეპარატისტულ, მემარცხენე ანარქისტულ და მემარჯვენე ტერორიზმს. ევროპოლის ანგარიშში **ჯიჰადიზმი** განმარტებულია, როგორც სალაფიტური ისლამის ძალადობრივი სუბკატეგორია, რომელიც უარყოფს დემოკრატიასა და მისთვის მახასიათებელ არჩევით სახელისუფლებო ორგანოებს, ცდილობს დაამტკიცოს ღმერთის, როგორც ერთადერთი კანონშემოქმედის როლი. ჯიჰადიზმი მიზნად ისახავს შექმნას ისლამური სახელმწიფო, რომელიც ცალმხრივად იმართება ისლამური კანონმდებლობის (ისლამური შარიათის) კონკრეტული ორგანიზაციის ინტერპრეტაციით. [39]

ამავე ანგარიშის თანახმად, ჯიჰადისტების ძირითად სამიზნეებს წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და სამხედო ან სამართალდამცავი ორგანოები. 2019 წლის მონაცემებით ჯიჰადიზმით შთაგონებული თავდამსხმელების თითქმის 70%-ს 20-28 წლამდე ახალგაზრდები წარმოადგენენ. ჯიჰადისტების უმრავლესობა კერძოდ 85% მამაკაცები არიან ევროკავშრის წევრი სახელმწიფოების ანგარიშით ჯიჰადისტი თავდამსხმელების 60% იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ სადაც განხორციელდა თავდასხმა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების განცხადებით, 2019 წელს დარეგისტრირებული ტერორისტული დანაშაულებიდან უმრავლესობა ჯიჰაისტურ ტერორიზმს უკავშირდება. ევროპაში ჯიჰადისტები ძირთადად

---

[36] Military and Paramilitary Activities in and Against Nicaraqua, I.C.J. Rep. Judges Schewebel, p.346-347 and Jennings

[37] ნ. ფარსადანიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა, თბ.,2011, გვ.279

[38] გ. გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ.48

[39] მ.თოხაძე, 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა, თბ., 2020. გვ.4

ქსელების მეშვეობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები. აღნიშნული ქსელები უმეტესწილად თვითწარმოებულია ისეთი ორგანიზაციული კავშირის გარეშე, როგორებიცაა ტ/ო „ალ-ქაიდა“ და ტ/ო „ისლამური სახელმწიფო“. ბევრი ადამიანი თვითრადიკალიზაციას განიცდის ინტერნეტის მეშვეობით, ისე რომ არცერთი დიდი ტერორისტული ორგანიზაციასთან კავშირში არ იმყოფება.[40]

მემარჯვენე ტერორიზმში ევროპოლის ანგარიშში გულისმოხბს მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ ჩადენილ ძალადობას. მემარჯვენე ექსტრემიზმის ვარიაციებს წარმოადგენს ნეო-ნაცისტური, ნეო-ფაშისტური და ულტრა-ნაციონალისტური წარმონაქმნები. მემარჯვენე ტერორიზმი ცდილობს გადაიყვანოს მთლიანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა მემარჯვენე ექსტრემისტულ მოდელზე. მემარჯვენე ექსტრემიზმში ფუნდამენტურ კონცეფციას წარმოადგენს სუპრემაციზმი (იდეა, რომლის მიხედვითაც საერთო მახასიათებლის ქვეშ გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები არიან სხვა დანარჩენ ადამიანებზე უპირატესნი). რიგი დაჯგუფებები, საკუთარი თავის უპირატეს მდგომარეობაში აღქმის საფუძველზე, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილზე დომინირებას ბუნებრივ უფლებად მოიაზრებენ. ამასთანავე, მემარჯვენე ექსტრემისტული იდეოლოგიები საზრდოობენ სხვადასხვა მოძულე სუბკულტურებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, იბრძვიან საზოგადოების მრავალფეროვნების წინააღმდეგ.[41]

2018 წელს დაფიქსირებული თავდასხმების შემდეგ ინციდენტები მკვეთრად შემცირდა მომდევნო წელს. 2019 წელს ევროკავშირის სამმა წევრმა სახელმწიფომ სულ ექვსი მემარჯვენე ტერორისტების მიერ განხორციელებული თავდასხმა დააფიქსირა- ერთი დასრულებულ ტერორისტული აქტი დიდ ბრიტანეთში, ერთი წარუმატებელი მცდელობა ლიტვაში და ოთხი დაუმთავრებელი ტერორისტული აქტი დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში. (სამი დიდ ბრიტანეთში და ერთი პოლონეთში). 2019 წელს მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ განხორციელებული 2 ძალადობრივი აქტის შესახებ იუწყება გერმანიაც, თუმცა გერმანიის შიდასახელმწიფო კანონის თანახმად, ხსენებული შემადგენლობები ტერორიზმად არ დაკვალიფიცირდა.

ეთნო-ნაციონალისტური და სეპარატისტული ტერორისტული ჯგუფები მოტივირებულები არიან ნაციონალიზმით, როგორც ეთნიკური ასევე რელიგიური ნიშნით. ისინი ცდილობენ დიდი სახელმწიფოს შიგნით მოიპოვონ ავტონომია. ასეთი ჯგუფები საკუთარ თავს თავისუფლებისთვის მებრძოლებად მოიხსენიებენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სხვა მკვიდრთა უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. ასეთი

[40] Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020, p.14-15

[41] მ. თოხაძე- 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა, თბ., 2020, გვ.4

ჯგუფებისთვის მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიური ელემენტები არ არის უცხო. ეთნო-სეპარატისტულ ჯგუფებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ ირლანდიის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი არმია[42] და ქურთისტანის მუშათა პარტია[43].

ევროპოლის ანგარიშით, ეთნო-ნაციონალისტურმა და სეპარატისტულმა ტერაქტებმა 2018 წელთან შედარებით 2019 წელს იკლო, თუმცა ჩრდილოეთ-ირლანდიის მონაცემებით გარკვეული ინციდენტები იქნა დაფიქსირებული რომლებიც ძირითადად დისიდენტ რესპუბლიკურ ჯგუფებს უკავშირდება. ესპანეთში სეპარატისტულმა ტერორისტულმა დაჯგუფება „ეუსკანდი ტა ასკატასუნა“[44] 2019 წელს არ იმყოფებოდა აქტიურ პოზიციაში, თუმცა ხელისუფლების მიერ აღმოჩენილ იქნა სამალავები სადაც მათი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები ინახებოდა. რაც შეეხება ქურთულ სეპარატისტულ დაჯგუფება-ქურთისტანის მუშათა პარტიას, ისინი აგრძელებენ ევროპის ტერიტორიაზე საკუთარი იდეოლოგიის პროპაგანდას სხვათა გადაბირების მიზნით. 2019 წელს გერმანიაში სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაცია „თამილ ისლამის გამათავისუფლებელი ვეფხვების“[45] წევრები იქნენ დაკავებულები კუნძულ შრი-ლანკაზე ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის.[46]

მემარცხენე ტერორისტული ჯგუფები ძალადობრივი ხერხებით ახდენენ რევოლუციებს სახელმწიფოს პოლიტიკური სოციალური და ეკონომიკური სისტემების წინააღმდეგ, რათა დანერგონ სოციალიზმი და ჩამოაყალიბონ კომუნისტური კლასობრივი საზოგადოება. მათი იდეოლოგია ხშირად მარქსისტულ-ლენინისტურია. ასეთებად მიიჩნევიან იტალიური წარმოშობის „წითელი ბრიგადები“[47] და ბერძნული რევოლუციური ორგანიზაცია „17 ნოემბერი“[48]

ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი 2019 წელს მემარცხენე ანარქისტი ტერორისტების მიერ განხორციელებული თავდასხმების ეპიცენტრში კვლავაც იმყოფებოდნენ. წინა წლებთან შედარებით ხსენებულ ინციდენტთა რიცხვი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. კერძო საწარმოები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა და საჯარო სამთავრობო ინსტიტუციები მემარცხენე ანარქისტული ტერორიზმის მთავარი სამიზნეებია. შემთხვევათაგან უმეტესწილად აქტორები თავდასხმებზე პასუხისმგებლობას ონლაინ აცხადებენ. 2019 წელს

[42] John Horgan & Max. Taylor (1997) The provisional Irish republican army: Command and functional structure, Terrorism and Political Violence

[43] Mahmut Aytekin (2019) Radicalisation processes of the Kurdistan Workers Party (PKK): ideology and recruitment tactics, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism

[44] ETA, Basque organization https://www.britannica.com/topic/ETA (ბოლოს გადამოწმდა: 26.05.2021)

[45] Malaysia arrests two politicians suspected of links to Sri Lanka rebel group https://www.reuters.com/article/us-malaysia-sri-lanka-idUSKBN1WP1P9 (ბოლოს გადამოწმდა: 26.05.2021)

[46] Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020, p. 54-55

[47] Alison Jamieson (1990): Identity and morality in the Italian red brigades, Terrorism and Political Violence

[48] John M. Nomikos (2007) Terrorism, Media, and Intelligence in Greece: Capturing the 17 November Group, International Journal of Intelligence and CounterIntelligence

მემარცხენე და ანარქისტული ტერორიზმის ეჭვის საფუძველზე დაპატიმრებების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გასამმაგდა. იტალიაში დაპატიმრებების უმეტესობა (71 შემთხვევა) უკავშირდება ძალადობრივ დემონსტრაციებს და უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირებას, რა დროსაც პირები წარმოადგენდნენ ტერორისტულ ჯგუფებს და გეგმავდნენ ტერორისტულ თავდასხმებს. აღსანიშნავია, რომ მემარცხენე ტერორისტული ჯგუფები კვლავ წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფრთხეს ევროპის ქვეყნებისთვის. ცნობილია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ქურთული ძალების მხარდასაჭერად და მათ რიგებში გასაწვრიანებლად, მემარცხენე და ანარქისტი ტერორისტები კვლავ აგრძელებენ მოგზაურობას. ასევე, თურქეთის მარქსისტულ-ლენინური ტერორისტული ორგანიზაცია- „რევოლუციური სახალხო განმათავისუფლებელი პარტია/ფრონტი“[49] აგრძელებს ევროკავშირის ლოგისტიკური ბაზის გამოყენებას თურქეთში ოპერაციების განსახორციელებლად.[50]

ჯიჰადისტური ტერორიზმსა და მემარჯვენე ტერორიზმშიც, ასევე ძალადობრივ ექსტრემიზმში ყველაზე დიდ საფრთხეს მარტოდ მოქმედი ტერორისტები ე.წ **„მარტოხელა მგლები“** და ის ინდივიდები წარმოადგენენ, რომლებიც შედარებით ვიწრო ქსელებს წარმოადგენენ და არ არიან მართულები დიდი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ. ორივე, ჯიჰადისტური და მემარჯვენე ექსტრემისტული პროპაგანდა საფუძველს უყრის მარტოდ მოქმედი პირების მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს. ერთის მხრივ „მარტოხელა მგლები“ დირექტივებს არ იღებენ ლიდერებისგან, მაგრამ მათი ქმედებები დიდი ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების მიერ ონლაინ დადებითად ფასდება და ძალადობის განმახორციელებელ დამოუკიდებლად მოქმედ პირებს ზოგჯერ წმინდანებად და წამებულებადაც კი მოიხსენიებენ. ხსენებულის წახალისება, სხვა რადიკალურად განწყობილი პირების მოტივაციას აძლევს, რაც საერთო სურათს ქმნის, რომ აუცილებელი არ არის პირი ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდეს და მისგან დავალებებს იღებდეს, რომ „წარმატებული“ თავდასხმები განახორციელოს.

ტ/ო „ისლამური სახელმწიფო“ და ტ/ო „ალ-ქაიდა“ დიდი ხანია მოუწოდებს პოტენციურ მარტოხელა მგლებს განახორციელონ ინდივიდუალურად დაგეგმილი თავდასხმები, თუმცა ტ/ო „ისლამური სახელმწიფო“ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის და კერძოდ მათ რიგებში გაწევრიანებისთვის პირებს შანსს აძლევს ე.წ „წამებულებად“ გამოცხადდნენ. ხსენებულ ტერორისტულ ჯგუფებში გაწევრიანების ასევე ცალკეული ბენეფიტები გააჩნია, მათ

[49] Richard McHug, Revolutionary People's Liberation Party/Front https://www.britannica.com/topic/Revolutionary-Peoples-Liberation-Party-Front (ბოლოს გადამოწმდა: 28.05.2021)

[50] Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020, p.58-59

შორის, მაგალითად, „ისლამური სახელმწიფო“ წევრებს გარანტიებს აძლევს იმისა, რომ გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაცია მათ ოჯახებზე იზრუნებს.[51]

ტერორიზმის ზემოთხსენებული კლასიფიკაცია ცხადყოფს ტერორისტული აქტების განმახორციელებელი სუბიექტების მოტივებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, ტერორისტების მოქმედების მოტივს კვალიფიკაციაზე გავლენა არ აქვს. სსკ-ის 323-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს ადამიანზე თავდასხმას ტერორისტული მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ეს ადამიანი საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია სახეზე გვექნება სსკ-ის 325-ე მუხლის შემადგენლობა. ტერორისტული აქტების განხორციელების ყველაზე გავრცელებული ხერხია, აფეთქება, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს შემსრულებლის უსაფრთხოებას, საშუალებას აძლევს მას, შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდეს ან საერთოდ მიიმალოს; ტერორისტი იყენებს საშუალებას, რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია; ასაფეთქებელი მოწყობილობა ერთნაირად საშიშია ნებისმიერი ობიექტისთვის და მისი გამოყენების თაობაზე უბრალო მუქარასაც კი სერიოზული ზარალისა და მატერიალური დანაკარგების მიყენება შეუძლია; ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებისთვის საჭირო მასალის მოპოვება არ წარმოადგენს სირთულეს, თანაც იგი იაფია.[52]

2.4 ტერორისტული აქტის ძირითადი შემადგენლობის ჩადენის მუქარა

2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით სსკ-ის 323-ე მუხლის 1[1] ნაწილით დასჯადი გახდა სსკ-ის 323 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მუქარა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე. რამდენადაც 323-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საფრთხის დელიქტს ალტერნატიული ქმედებით, მასში შეიძლებოდა მუქარაც გვეგულისხმა (ან სხვა ქმედების მნიშვნელობით), თუმცა კანონმდებელმა მუქარა ცალკე გამოყო უფრო მსუბუქი სანქციით.[53]

სსკ-ის 151 (1) მუხლი აყალიბებს მუქარის შემადგენლობას რომლის თანახმადაც, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა,

[51] Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020, p.19

[52] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, თბ., 2009

[53] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.274

სახეზეა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამ მუხლით გათვალისწინებული მუქარის დროს ფსიქოლოგიური ძალადობა კონკრეტული პირების მიმართ ხორციელდება.[54] ტერორიზმის შემთხვევაში მუქარის ობიექტი ძირითადად, არა მხოლოდ ერთი ადამიანია, არამედ ეს შეიძლება იყოს რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაც კი. ტერორიზმისთვის მუქარა ამოსავალი წერტილია. ტერორიზმში იმთავითვე მოიაზრება მუქარა და დაშინება, რადგან ტერაქტების მსხვერპლი ძირითადად უდანაშაულო მოქალაქეები არიან. ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ავრცელებენ მუქარის შემცველ განცხადებებს, რომლებსაც საილუსტრაციოდ ძალადობრივ ვიდეოებს ურთავენ. ამით სურთ მოსახლეობაში შიში გააჩინონ და დაანახონ მათ თუ რა ელით მომავალში, და რისი შესაძლებლობები გააჩნიათ ტერორისტებს. ამრიგად, ტერორისტების მუქარის მიმართ შიშის საფუძვლიანობა ნაკლებად სადაო საკითხია.

2015 წელს ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ პროპაგანდისტული ვიდეომიმართვა გაავრცელა ონლაინ სივრცეში სადაც ჩამოთვალა 60 ქვეყანა, რომლებსაც ის მტრებად მიიჩნევს. ტერორისტები აცხადებდნენ, რომ ათასობით თვითმკვლელი მებრძოლი მზად იყო სიაში მოხვედრილ ქვეყნებზე თავდასხმების განსახორციელებლად.[55]

მსოფლიო მასშტაბით ტერორისტების მიერ გავრცელებული მუქარის შემცველი განცხადებები მრავლად მოიძიება ინტერნეტ სივრცეში, ასეთი შემთხვევები საქართველოშიც ფიქსირდება. 2016 წელს ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარის ფაქტზე ახმეტის რაიონის სოფ. დუისში მცხოვრები, ვახტანგ ხანგოშვილი დააკავეს. მან 2016 წლის 29 ივლისს სოციალურ ქსელის მეშვეობით გაავრცელა მუქარის შემცველი ინფორმაცია.[56]

აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქე, აჭარის მკვიდრის თამაზ ჭაღალიძის მიერ გავრცელებული განცხადებებიც. იგი 2014 წელს გაემგზავრა სირია-ერაყის კონფლიქტურ ზონაში და როგორც ღია წყაროებიდან ხდება ცნობილი შეუერთდა ტ/ო „ისლამურ სახელწმფოს“ რიგებს. სულ მალე, როგორც პრესა იუწყებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ მან ქართული ენა კარგად იცოდა ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი სპიკერიც კი გახდა საქართველოში. პირველად მან მუქარის შემცველი განცხადება 2015 წლის 12 იანვარს გააჟღერა. "ხალიფატის" მებრძოლი თამაზ ჭაღალიძე საკუთარ ქვეყანას და ხალხს დაჩოქებით და თავების დაჭრით ემუქრებოდა. ჭაღალიძემ ამავე წლის 13 იანვარს მეორე მიმართვაც გაავრცელა, სადაც,

---

[54] გ.გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება თბ.,2011, გვ157

[55] ISIS Threatens 60 Countries Including Greece, https://greekreporter.com/2015/11/25/isis-threatens-60-countries-including-greece-video/ (ბოლოს გადამოწმდა: 29.05.2021)

[56] სუს-ის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ერთი პირი დააკავა, https://ssg.gov.ge/news/156/sus-is-kontrteroristulma-centrma-erti-piri-daakava (ბოლოს გადამოწმდა: 3.06.2021)

ახლა უკვე თავის თანამოაზრეებთან ერთად (ასევე ეთნიკურ ქართველებთან) მოსახლეობას საქართველოში "ხალიფატის დროშების" აფრიალებით დაემუქრა.[57]

ტერორიზმი იყენებს ძალადობის მუქარას, რათა შექმნას შიში არა მხოლოდ მსხვერპლ ჯგუფში, არამედ უფრო ფართო აუდიტორიაში. მუქარა მიმართულია შიშის გენერირებისთვის, რათა ამ გზით მიღწეულ იქნას პოლიტიკური მიზნები, რომლის განხორციელებაც პირდაპირ, საბრძოლო მეთოდით შეუძლებელია.[58] ტერორისტების მხრიდან მთავარი მუქარა მიმართულია ადამიანების სიცოცხლისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ. ამ მუქარის განხორციელების და მისი სხვადასხვა აქციებით (მძევლების აყვანა, თვითმფრინავების ხელში ჩაგდება, ბომბების დადება და ა.შ.) "დადასტურების" გარეშე ტერორიზმი მოკლებული იქნებოდა თავის არსს.[59]

თავი III. ტერორისტული აქტის კვალიფიციური შემადგენლობა

3.1 ტერორისტული აქტი ჩადენილი ჯგუფურად

სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია იმავე ქმედების ჩადენა ჯგუფურად, არაერთგზის და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით. ჯგუფური დანაშაულის არსი და სახეები განმარტებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, კერძოდ 27-ე მუხლში.[60]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლში გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული.

სსკ-ის 27-ე მუხლის თანახმად დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში **წინასწარ შეუთანხმებლად** ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ამავე მუხლის თანახმად დანაშაული **წინასწარი შეთანხმებითაა** ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად, ხოლო **ორგანიზებული ჯგუფის** მიერ ჩადენილ დანაშაულში იგულისხმება, როდესაც იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად

---

[57] ISIS-ის მხარდამჭერი ქართველი მოჯაჰედი https://tabula.ge/ge/news/568916-isis-mkhardamcheri-kartveli-mojahedi-muslimta (ბოლოს გადამოწმდა: 4.05.2021)

[58] რ.მესხიძე, ტერორიზმი და მისი საფუძვლები http://yata.ge/ge/?p=1585 (ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2021)

[59] დ.მალხაზიშვილი, ტერორიზმის საფრთე მსოფლიოსთვის, 2006 http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1559 (ბოლოს გადამოწმდა: 07.06.2021)

[60] ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.274

მოწმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში მოცემულ შენიშვნაში განმარტებულია სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებულ იქნას განვითარებული სტრუქტურა.

ტერორისტული აქტების ჯგუფურად განხორციელება საკმაოდ ხშირია. ტერორისტები ძირითადად სურთ, რაც შეიძლება რეზონანსული და ფართომასშტაბიანი ნგრევა გამოიწვიონ, შესაბამისად ამ ყველაფერს ხშირ შემთხვევაში კარგი დაგეგმვა და ერთზე მეტი ადამიანის მონაწილეობა სჭირდება.

2017 წლის 21-22 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ტერორისტის აჰმედ ჩატაევისა და მისი კარგად ორგანიზებული ჯგუფის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა.[61]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაზის სატრანზიტო მილსადენის აფეთქების მომზადების ფაქტზე 7 პირი დამნაშავედ ცნო. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადებისთვის დამნაშავედ იქნენ ცნობილი ბ.ბ., მ.ვ., ჯ.მ. და ვ.რ.[62]

3.2 ტერორისტული აქტი ჩადენილი არაერთგზის

არაერთგზისობის, როგორც დამამძიმებელი გარემოების არსებობა სისხლის სამართალში აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ეს გარკვეულწილად მესიჯს უგზავნის ერთხელ უკვე ნასამართლევ პიროვნებებს, რომ იგივე ქმედების ჩადენის შემთხვევაში მათ უფრო მკაცრი სასჯელი მოელით. შესაბამისად ასეთი სანქცია ქმნის პრევენციულ ზომას და გარკვეულწილად ამცირებს კიდეც დანაშაულთა რიცხვს.[63]

სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ტერორისტული აქტის ჩადენას არაერთგზის, რომელიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად არაერთგზის დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ

[61] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიში, 01.01.2017-31.12.2017 https://rb.gy/tl3jqx (ბოლოს გადამოწმდა: 10.06.2021)
[62] https://rb.gy/adehnk (ბოლოს გადამოწმდა: 11.06.2021)
[63] არაერთგზისობა როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება https://www.myadvokat.ge/ka/blog/5522 (ბოლოს გადამოწმდა: 12.06.2021)

სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დანაშაული არაერთგზის არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

ტერორისტულ დანაშაულთა ჩადენის არაერთგზისობის პრობლემა საკმაოდ ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს. ზოგიერთი ქვეყანა ფიქრობს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის სანქცია არ არის საკმარისი რადიკალურ-ექსტრემისტული იდეებით შეპყრობილი ადამიანებისთვის, რომლებმაც წარსულში ტერორისტული დანაშაული ჩაიდინეს, მათი აზრით მომავალში ისინი საჭიროებენ ინტენსიურ ფსიქოლოგიურ თერაპიასა და დე-რადიკალიზაციის პროგრამებში ჩართულობას, რომელიც ტერორისტულ დანაშაულთა ჩადენის გამეორების რისკს შეამცირებს.

2014 წელს საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად მხოლოდ 12% დაუბრუნდა ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმიანობას, ტერორიზმის მიმართულებით მომუშავე მთავრობის სარეაბილიტაციო პროგრამების გავლის შემდეგ, რაც მათივე განცხადებით პროგრამის წარმატებულობაზე მეტყველებდა. პროგრამაში სულ 2500-ზე მეტმა პირმა მიიღო მონაწილეობა.[64]

მიუხედავად ზემოთხსენებული მონაცემებისა, საყურადღებოა ის შემთხვევა, როდესაც გუანტანამოს ციხის ყოფილმა პატიმარმა, რომელმაც საუდის არაბეთის განცხადებით დე-რადიკალიზაციის პროგრამა წარმატებით გაიარა, კვლავ გააგრძელა ტერორისტული საქმიანობა. პროგრამის დასრულებიდან მალევე სალიჰ ალ-ქარავი გაიქცა იემენში და ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ-ქაიდას" ერთ-ერთ ხელმძღვანელი პოზიცია დაიკავა.[65]

აღსანიშნავია, რომ ტერორისტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგჯერ კიდევ უფრო ძლიერდებიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი სხვა კრიმინალებთან სოციალურ კავშირებს ამყარებენ. პატიმრობის პერიოდში ჩამოყალიბებული ურთიერთობები შესაძლოა გათავისუფლების შემდეგაც გაგრძელდეს და გამოიწვიოს ტერორისტების წვდომის გაადვილება უკანონო საქონელსა და ისეთ მომსახურეობებზე, როგორიცაა ყალბი დოკუმენტების

[64] 12% of rehab terrorists relapse https://www.arabnews.com/node/666656/amp (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[65] Returning to the Fight: What the Literature on Criminal Recidivism Can Contribute to our Understanding of Terrorist Recidivism, Mary Beth Altier, John Horgan, and Christian Thoroughgood The Pennsylvania State University,

დამზადება, უკანონო იარაღის შეძენა ან ფულის გათეთრება. ყოველივე ეს ცხადია დანაშაულის გამეორებით ჩადენის რისკს საგრძნობლად ზრდის.[66]

3.3. ტერორისტული აქტი ჩადენილი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით

სსკ-ის 323-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაა ტერორისტული აქტი ჩადენილი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებით, მასობრივი განადგურების იარაღს მიეკუთვნება ისეთი იარაღი, რომელიც მოქმედებს ატომური აფეთქების ან რადიაქტიური მასალის მეშვეობით, სასიკვდილო ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი, ასევე, ნებისმიერი სხვა იარაღი რომელიც მომავალში იქნება შემუშავებული ატომური ბომბის ან ზემოთხსენებული სხვა იარაღის თვისებით.[67]

მასობრივი განადგურების იარაღში (მგი) კაცობრიობის მიერ შექმნილი ყველაზე გამანადგურებელი და მომაკვდინებელი იარაღი იგულისხმება. მეცნიერების დიდი უმრავლესობა მგი-ში ოთხი კატეგორიის იარაღს მოიაზრებს: ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ ან ატომურ იარაღს.[68]

ქიმიური იარაღი მრავალი სახის მომწამვლელ მომაკვდინებელ გაზს მოიცავს. პირველ მსოფლიო ომში, ქიმიური იარაღის მასობრივი გამოყენების შედეგად ათიათასობით ჯარისკაცი დაიღუპა და დასახიჩრდა. ამ ტრაგიკული გამოცდილების შემდეგ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ მათი გამოყენება თუნდაც ომში, ძალზე სასტიკი და არაადამიანური საქციელია და შესაბამისად ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით აიკრძალა.

ბიოლოგიური იარაღი ვირუსებს და ბაქტერიებს გულისხმობს, რომლებიც მძიმე გადამდებ დაავადებებს იწვევს. ბიოლოგიური იარაღი განსაკუთრებით საშიშია, რადგან გავრცელების შემთხვევაში იგი შეიძლება მთელს მსოფლიოს მოედოს.[69] ბიოლოგიური იარაღის გამოყენება

---

[66] Europol- European Union Terrorism Situation and Trend report, 2020, p.19

[67] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.274

[68] გ.ჭოჭუა, რას ნიშნავს იყო უსაფრთხოდ, 2015, გვ.14 https://www.gfsis.org/files/my-world/10/saxelmwifo.pdf (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[69] გ.ჭოჭუა, რას ნიშნავს იყო უსაფრთხოდ, 2015, გვ.14-15 https://www.gfsis.org/files/my-world/10/saxelmwifo.pdf (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შეიარაღებულ კონფლიქტში ბიოლოგიური აგენტების გამოყენება არის ომის დანაშაული. ბიოლოგიური იარაღების წარმოებას, მარაგის შექმნას ან თავდასხმითი მიზნით გამოყენებას კრძალავს 1972 წელს მიღებული კონვენცია. 2016 წლის მონაცემებით, აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 178-მა ქვეყანამ, 6-მა კი - განაცხადა თანხმობა; ამ კონვენციის მიზანია მოხდეს ბიოლოგიური იარაღებით შეტევების პრევენცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი რაოდენობით ადამიანების სიკვდილი და ამასთან ერთად, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, მათ შორის ისინი, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიკაცია, კვლავ ატარებენ კვლევებს ბიოლოგიური ომისგან თავდაცვის კუთხით, რაც არაა აკრძალული კონვენციის მიხედვით.[70]

რადიოლოგიურ ბომბს მეორენაირად „ბინძურ ბომბს“ უწოდებენ. ბირთვული იარაღისგან განსხვავებით, მას არ შეუძლია დაანგრიოს ქალაქები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ნგრევასა და მსხვერპლს იწვევს. ამასთან ერთად, რადიოლოგიური ბომბის აფეთქებას მოჰყვება მომაკვდინებელი გამოსხივება, ანუ რადიაცია. რადიოლოგიური ბომბის აწყობა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ბირთვულის.

ბირთვული ანუ ატომური იარაღი ყველაზე დამანგრეველი და საშიშია. ერთი ბირთვული ბომბიც კი საკმარისია მთელი ქალაქის დასანგრევად. საბედნიეროდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოებს ბირთვული იარაღი აღარ გამოუყენებიათ, მითუმეტეს ტერორისტულ ორგანიზაციებს. არსებობს სპეციალური შეთანხმებები, რომლებიც კრძალავენ არა მარტო ბირთვული იარაღის დამზადებას, არამედ მისი დამზადებისთვის საჭირო ნივთიერებების, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გავრცელებას.[71]

საქართველომ 1998 წლის 30 ოქტომბერს მიიღო კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიზანს შეადგენს მაიონიზირებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან ადამიანისა და გარემოს დაცვა იმ ვალდებულებების შესაბამისად , რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით.[72] ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებიდან აღსანიშნავია საქართველოს რესპუბლიკისა

[70] ს. ქარელი, მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში, თბ., 2017, გვ.14

[71] გ.ჭოჭუა, რას ნიშნავს იყო უსაფრთხოდ, 2015, გვ.14-15
https://www.gfsis.org/files/my-world/10/saxelmwifo.pdf (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[72] საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, მუხლი 1.

და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის დადებული შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ გარანტიების გამოყენების თაობაზე.[73]

საქართველო ამ მიმართულებით აქტიურად არის ჩაბმული ისეთ საერთაშორისო პლატფორმებში როგორებიცაა „დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურებისა და იარაღისა და მასალების გავრცელების გლობალური პარტნიორობა“, ასევე „ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივა“. აღსანიშნავია, რომ საქართველო ქიმიური ბიოლოგიური რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობს აშშ-ის დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან.[74]

განსაკუთრებით საშიში სიტუაცია შეიქმნება, თუ მასობრივი განადგურების იარაღი ისეთი ტერორისტული დაჯგუფების ხელში იქნება, რომლებსაც ან მათი გამოყენების სურვილი აქვთ, ან უფრო მეტიც ადრეც გამოუყენებიათ. ასეთ ჯგუფებს მიეკუთვნება მაგალითად „ალ-ქაიდა“, „აუმ შანრიკო“[75], რომელმაც 1995 წელს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს მეტროში მომწამვლელი გაზი-ზარინი გაუშვა. სწორედ ამიტომ ბირთვული იარაღისთვის საჭირო ნივთიერებების და მოწყობილობების დაცვა უმნიშვნელოვანესია სრულიად კაცობრიობისთვის.[76]

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. ირაკლი დვალიძე ერთგვარ ხარვეზებს ხედავს სსკ-ის 323-ე და 324-ე მუხლებში. მისი მსჯელობით ორ მუხლს შორის გარკვეულწილად დუბლირების პრობლემაა, რაც კვალიფიკაციას ართულებს, კერძოდ, სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ” ქვეპუნქტი ითვალისწინებს ტერორისტული აქტის ჩადენას მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით ხოლო სსკ-ის 324-ე მუხლის მე-3 ნაწილი მასობრივი განადგურების იარაღის მხოლოდ გამოყენებაზე მიუთითებს. ამასთან, სსკ-ის 324-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი, იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობას ამძიმებს თუ ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი დადგება. ასე რომ, გამოდის შემდეგი ალოგიკური მდგომარეობა: ა) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის მხოლოდ გამოყენებას აქვს ადგილი, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ-ის 324-ე მუხლის მე-3 ნაწილით; ბ) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ” ქვეპუნქტით; გ) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებამ ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით და არა სსკ-ის 324-ე მუხლის მე-5

[73] გ.გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ.122
[74] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიში- 01.01.2017-31.12.2017. გვ 19
[75] Robert Jay Lifton MD (2004) Aum Shinrikyo, Journal of Aggression, Maltreatment & Trauma
[76] https://www.gfsis.org/files/my-world/10/saxelmwifo.pdf (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

ნაწილით, რადგან კანონი იქვე აკეთებს დათქმას მასობრივი განადგურების იარაღის მაკვალიფიცირებელი გარემოების ობიექტური შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ.[77]

3.4 სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტერორისტული აქტის კვალიფიციური შემადგენლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის 3-ე ნაწილი პასუხისმგებლობას ამძიმებს იმ შემთხვევაში თუ ამავე მუხლის 1[1] ან მე-2 ნაწილით გათვალიწინებული ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს.

ტერორისტული აქტის მიზანი შესაძლებელია სრულებითაც არ იყოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ვინაიდან ტერორისტები ხშირად არა კონკრეტული ადამიანების მკვლელობისკენ არიან მიმართულები, არამედ ისინი სიმბოლურად არჩევენ მსხვერპლს საზოგადოების დასაშინებლად და პოლიტიკური თუ სხვა მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ თვითონ 323-ე მუხლის დისპოზიციაშივეა განმარტებული, რომ აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის რისკს ზრდის.

ტერორიზმისთვის დამახასიათებელია მსხვერპლისა და სამიზნე ჯგუფების დიფერენციაცია. როგორც უკვე ვთქვით ტერორისტული აქტის მსხვერპლის შერჩევა ძირითადად ხდება სიმბოლურად და არა პირდაპირი მნიშვნელობით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვეულებრივი დანაშაულისგან განსხვავებით ტერორიზმში სამი მხარეა გამოკვეთილი- დამნაშავე, მსხვერპლი (რომელიც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა ტერორისტისთვის) და საკუთრივ სამიზნე ჯგუფი ხელისუფლების ორგანოები ან საზოგადოება, რომელიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის. ტერორიზმის ვიქტიმური სფერო ძალზე ფართოა და საზოგადოების თითქმის ყველა წევრს მოიცავს პოლიტიკური თანამდებობის პირიდან დაწყებული, ქალებით და ბავშვებით დამთავრებული.[78]

მძიმე შედეგი 323-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეფასებით ნიშანს წარმოადგენს და შედეგის სიმძიმე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თავისი შეხედულებით, საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით. მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობის ხანგრძლივად პარალიზება (ტრანსპორტი,

[77] ი.დვალიძე-ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბ., 2017. გვ16.
[78] გ. გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება თბ., 2011, გვ158

კავშირგაბმულობა, ენერგო მომარაგება და ა.შ); ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა მუშაობის დეზორგანიზაცია და ა.შ.[79]

თავი IV. ტერორისტული აქტი და სხვა მომიჯნავე შემადგენლობანი

4.1 ტერორისტული აქტი და საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა

საქართველოს 2014 წლის 4 აპრილის კანონით[80] სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ნოვაცია და დამატებულ იქნა 323² მუხლი საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით ჩამოყალიბებულია ქმედების ობიექტური შემადგენლობა: საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი ტერორისტული მიზნით. სისხლის სამართლის კოდექსის 323² მუხლში მოცემული შენიშვნის მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის საერთაშორისო ტერორიზმი გულისხმობს „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული „საერთაშორისო ტერორიზმის“ განმარტებით გათვალისწინებულ ტერორისტულ საქმიანობას, ხოლო სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა გულისხმობს შესაბამისი პერსონალის შერჩევას, წვრთნების ჩატარებას, აღჭურვილობის შეძენას, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას, ლოგისტიკური, სადაზვერვო ან ფუნქციონალური დახმარების გაწევას, ტერორისტის პირადი დაცვით უზრუნველყოფას ან სხვა სამხედრო ხასიათის მომსახურებას.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად საერთაშორისო ტერორიზმი არის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა:

1. ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);
2. ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;
3. იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ.

---

[79] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.274

ამავე კანონის თანახმად;

- **ტერორისტი**- არის პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში;
- **ტერორისტული ჯგუფი** წარმოადგენს - ორი ან მეტი პირის გაერთიანება ტერორისტული საქმიანობის (ტერორისტული აქტის) განხორციელების მიზნით;
- **ტერორისტული ორგანიზაცია** - არის ორგანიზაცია (მიუხედავად მისი ფორმისა), შექმნილი ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულ ორგანიზაციად, თუ ის არის დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული ორზე მეტი პირის ორგანიზებული გაერთიანება. **ორგანიზებულ გაერთიანებად** ჩაითვლება გაერთიანება, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები გაერთიანების წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.[81]

2015 წლის 12 ივნისის კანონით[82] 323² მუხლში ცვლილება შევიდა და დაემატა შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი: ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების ან ამგვარ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა.

მზია ლეკვეიშვილისა და ნონა თოდუას მოსაზრებით, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის პირველი ნიშანი-საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა ძალიან ზოგადია, ის თავის თავში აერთიანებს ქმედებებს ფიზიკური მონაწილეობით დაწყებული და ფინანსური მხარდაჭერით დასრულებული, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ის ტერორისტული ხასიათის რამდენიმე დანაშაულის დუბლირებას ახდენს, მაგალითად, სსკ-ის 328; 330¹, 330² მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობების. რაც შეეხება, სსკ-ის 323² მუხლის 1¹ ქვეპუნქტში მოცემულ უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერას, შეიძლება აღვიქვათ, რომ იგი ითვალისწინებს ტერორისტული საქმის განხორციელებას, მომზადებას ან ამგვარ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ან გადაკვეთის მცდელობას, შესაბამისად არც ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია იყო აუცილებელი და თავი რომ დავანებოთ მტკიცების ტვირთს, მსგავსი ქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელი იყოს სსკ-ის 344-ე მუხლის, რომელიც საქართველოს

[81] საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=12

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას მოიცავს და შესაბამისი ტერორისტული დანაშაულის ერთობლიობით.[83]

სისხლის სამართლის კოდექსის 323² მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია ამავე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჩადენილი ტერორისტული ორგანიზაციის მიერ და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან/და გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებები შინაარსით იდენტურია სხვა ტერორისტული ხასიათის დანაშაულების. ხოლო რაც შეეხება სხვა მძიმე შედეგს, მსჯელობა იგივე იქნება, რაც სსკ-ის 323-ე მუხლთან დაკავშირებით იქნა გამოთქმული ნაშრომში.

ტრანსნაციონალური ტერორისტული ჯგუფების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 25000 ადამიანის სიკვდილს იწვევს.[84] ტერორისტული ორგანიზაციები, როგორიცაა „ალ-ქაიდა“[85], „ისლამური სახელმწიფო[86]“ (დაეში), „ჰეზბოლა[87]“, „თალიბანი[88]“ და სხვა წარმოადგენენ სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ ფინანსური რესურსები, მებრძოლები, ახორციელებენ პირების გადაბირებას, სოციალური ქსელებისა და მედიის საშუალებით ავრცელებენ ძალადობის პროპაგანდას, გააჩნიათ მყარი იდეოლოგია და ზოგიერთ მათგანი ერთგვარი პროტო-სახელმწიფოს მოდელსაც კი წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია მოკლედ განვიხილოთ რამდენიმე მათგანი, რათა უფრო ნათლად დავინახოთ თუ რა მოტივებს შეიძლება ეფუძნებოდეს მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები და რამდენად მნიშვნელოვანია ხსენებული სტრუქტურული ერთეულების ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიარების საკითხი.

ალ-ქაიდა (AL-QAEDA) ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების ქსელია, რომლის ანგარიშზეა ტერაქტები კენიაში, ტანზანიაში, კუნძულ ჯერბაზე, შარმ-ელ-შეიხში (23.07.2005) და აშშ-ში (11.09.2001). „ალ-ქაიდა“ ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციად მის დამაარსებელია ოსამა ბინ ლადენი. „ალ-ქაიდა“ არის არა ერთიანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია, არამედ საერთო მიზნების მქონე, საერთაშორისო მასშტაბით

---

[83] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.277

[84] Anna Marie Brennan, Transnational Terrorist Groups and International Criminal Law, 1ST edition, Published June 30, 2020 by Routledge, Book Description

[85] Dalbir Ahlawat & Khuram Iqbal (2014) Knowing al-Qaeda: the epistemology of terrorism, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 9:1, 70-71

[86] Bader Al-Ibrahim (2015) ISIS, Wahhabism and Takfir, Contemporary Arab Affairs, 8:3, 408-415

[87] Adriana Curto (2016) Hezbollah: A Short History, Hezbollah: An Outsiders Inside View, Small Wars & Insurgencies, 27:2, 356-357

[88] Theo Farrell (2018) Taliban Narratives: The Use and Power of Stories in the Afghanistan Conflict, The RUSI Journal, 163:1, 92-93

მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ჯგუფების ნაკრები. მას არ გააჩნია ერთი ლიდერი, არამედ ამ სახელის ქვეშ მოაზრებულ ყველა ორგანიზაციას თავისი ლიდერი ჰყავს, რომლებიც სხვა ლიდერებზე ნომინალურად დამოკიდებულები ან სულაც დამოუკიდებელნი არიან. „ალ-ქაიდას“ მთავარ მიზნებად ითვლება: არაბულ ქვეყნებში მთავრობათა რეჟიმების დამხობა, სადაც მხოლოდ მართლმორწმუნეები უნდა ცხოვრობდნენ და საღმრთო რეჟიმი უნდა ბატონობდეს; ისრაელის განადგურება; ბრძოლა აშშ-ის, დასავლური ცივილიზაციის და დემოკრატიული საზოგადოების წინააღმდეგ. „ალ-ქაიდას“ ყველაზე ცნობილ ოპერაციად ითვლება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები აშშ-ში. ერაყის ომის დაწყების შემდეგ სახელი „ალ-ქაიდა“ დასავლეთის ქვეყნებში გადაიქცა ბოროტების, მტრის სინონიმად.[89]

ისლამური სახელმწიფო იგივე დაეში (ISIS, DAESH,) დაფუძნდა 1999 წელს იორდანელმა ექსტრემისტმა აბუ მუსაბ ალ-ზარქავმ. ხუთი წლის განმავლობაში ალ-ზარქავის ახალმა ჯგუფი ასოცირდებოდა ბინ ლადენთან და „ალ-ქაიდასთან“. ორგანიზაციის წევრები ითვლებიან ისლამურ ექსტრემისტებად, ისლამისტებად ან ჯიჰადისტებად, რომლთა ნარატივიც მჭიდრო კავშირშია ჯიჰადის ან ”ბრძოლის” კონცეფციასთან. 2014 წლის დასაწყისისთვის „ალ-ქაიდა“ ოფიციალურად გამოეყო ISIS- ს და ახალ დამოუკიდებელ ჯგუფად ჩამოყალიბდა. იმ პერიოდში „ალ-ქაიდამ“ ISIS- ის ქმედებებზე პასუხისმგებლობიდან ხელი აიღო, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ”ძალიან ექსტრემალურად” მიიჩნია. დაეშმა შეასრულა თავისი ბარბაროსული რეპუტაცია და განაგრძო წინსვლას შუა აღმოსავლეთში. 2014 წლის ივნისის ბოლოს, ISIS- ის ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი-მ გამოაცხადა გლობალური ხალიფატის შექმნა,[90] მან თავი მუჰამედის პირდაპირ მემკვიდრედ და ახალ ხალიფა იბრაჰიმად დაასახელა. ალ-ბაღდადიმ მსოფლიოს მუსლიმებს მოუწოდა შეერთებოდნენ მის მოძრაობას. ხალიფატის გამოცხადებამ, ორგანიზაციას გლობალური მნიშვნელობა შესძინა. ხალიფატის გამოცხადებიდან ოთხი თვის შემდეგ, ისლამურ სახელმწიფოს 11 სახელმწიფოში ქონდა საკუთარი ფილიადი აქედან ხუთში ეს დაჯგუფებები სხვადასხვა მნიშვნელობის ტერიტორიებს აკონტროლებდნენ. ტერორისტების მმართველობის ქვეშ მილიონობით ადამიანი აღმოჩნდა.[91] დაეში იზიარებს ისლამის ძალიან ექსტრემალურ ფორმას, რომელიც სალაფიზმის სახელით არის ცნობილი (არაბულად „ალ სალაფ ალ სალიჰ“ ნიშნავს ღვთისმოსავი წინაპრებს). იგი შარიათის კანონების მკაცრი დაცვით, რომელიც მოიცავს ძალადობასა და სისხლისღვრას, ხელს

[89] 10 ყველაზე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია XX საუკუნიდან დღემდე, 2016, shorturl.at/ozGKR (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[90] Chosen People Ministeries, A Brief History Of ISIS, https://www.chosenpeople.com/site/ministry-news-brief-history-isis/ (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[91] ა. ზარქუა, ისლამური სახელმწიფოს აღზევება და დაცემა, ისტორია ფოტოებში, 2019 https://tabula.ge/ge/news/633542-islamuri-sakhelmcipos-aghzeveba-datsema-istoria (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

უწყობს ყურანის ჰეგემონიის დამკვიდრების. ორგანიზაციამ გამოაცხადა ჯიჰადი ყველა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, რომელშიც მოიაზრებიან დასავლელები, ქრისტიანები და ებრაელები.[92]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აშშ-ს და სხვა ევროპის ქვეყნების მსგავსად არ აყალიბებს ტერორისტული ორგანიზაციების სიას, თუმცა ამის ნაცვლად იგი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სანქციებზე. გაეროს უშიშროების საბჭოს 1995 წლის 15 ოქტომბრის 1267-ე რეზოლუცია მიმართულია „ალ-ქაიდას“, „თალიბანის“ და მათი თანამოაზრეების წინააღმდეგ. მოგვიანებით სიას შეუერთდა „ისლამური სახელმწიფოც“.

4.2 ტერორისტული აქტი და კიბერტერორიზმი

ზოგადად ტერორიზმის კონცეფციის და დეფინიციის განსაზღვრაზე დებატების მასშტაბები უკვე კარგად არის დოკუმენტირებული და შესაბამისად გასაკვირი არ იქნება ის ფაქტი, რომ კიბერტერორიზმი წარმოადგენს თანაბრად სადავო კონცეფციას.[93] ინტერნეტის დანერგვამ და უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების მასშტაბურმა გამოყენებამ ვირტუალურ სამყაროში რეალური ომის საფრთხე შექმნა. ინტერნეტის პირველი გამოჩენა არპანეტის სახით (ARPANET – ინტერნეტის პირველი სახელი) 1969 წლიდან იწყება, როგორც მოწინავე კვლევითი სააგენტოების (ARPA) და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის (DOD) მიერ შექმნილი კვლევითი ქსელი. თავდაპირველად არპანეტი ელექტრონული კვანძების მეშვეობით ოთხ ამერიკულ უნივერსიტეტს ერთმანეთთან აკავშირებდა და მეცნიერთა შორის კავშირის დამყარებას ემსახურებოდა. შემდგომ ეს ტექნოლოგია ელვისებურად გავრცელდა და განვითარდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, როგორც კულტურათა დიალოგის, მეწარმეთა, მომხმარებელთა თუ ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთობის უნიკალური საშუალება. თუმცა ამ დადებითი ეფექტის მიუხედავად, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა კარდინალურად შეცვალა უსაფრთხოების ექსპერტთა აზრი ინტერნეტის გამოყენების მნიშვნელობაზე. დღეს აღარავინ დაობს, რომ უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ისევე როგორც მასზე დამყარებული სხვა სერვისები, ყველა სიკეთესთან ერთად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს საფრთხეებსაც შეიცავს. გაჩნდა

[92] Chosen People Ministeries, A Brief History Of ISIS, https://www.chosenpeople.com/site/ministry-news-brief-history-isis/ (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[93] Lee Jarvis & Stuart Macdonald (2015) What Is Cyberterrorism? Findings From a Survey of Researchers, Terrorism and Political Violence, p.658

კიბერტერორიზმის ცნება, რომელმაც მეცნიერებს მიანიშნა, რომ ტერორისტთა "ტრადიციული" შეიარაღება და მეთოდები არც თუ ისე შორეულ მომავალში ანაქრონიზმად იქცევა.[94]

კიბერტერორიზმი ეს არის ტერორიზმის თანამედროვე ფორმა, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარას, სახელმწიფოს ან საზოგადოების პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით, ასევე სახელმწიფო ფინანსებზე ან ეროვნულ კომპანიებზე თავდასხმას და მათი მონაცემების გამოყენებას სხვადასხვა ფულადი თუ სხვა სახის მაქინაციებისთვის, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ. კიბერტერორისტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც ზემოთ დასახელებულ ქმედებებს განახორციელებს, ან კიბერ ტერორიზმის ფაქტად შევრაცხოთ ქმედება, რომელსაც განახორციელებს ტერორისტული დაჯგუფება საკუთარი ინტერესებისათვის, რომელიც იმავდროულად ან მომავალში სახელმწიფოებისა და მმართველოლბების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. კიბერტერორისტები ზოგადად იჭრებიან სახელმწიფო სტუქტურების კომპიუტერულ ქსელებში და იპარავენ სახელმწიფოს საკუთრებში არსებულ ინფორმაციებს, აგრეთვე ავრცელებენ ცრუ შეტყობინებებს, რათა საზოგადოებაში წარმოშვან პანიკა და დესტაბილიზაცია. ისინი ასევე იყენებ ფიზიკური პირის მონაცემბს სხვადასხვა მაქინაციების ჩასატარებლად და კვალის დასაფარავად.[95]

კიბერ დანაშაულის საკითხების მთავარ მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს 2001 წლის **კონვენცია კიბერ დანაშაულის შესახებ,** რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2012 წელს მოახდინა. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კიბერ სივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლის დასჯადად გამოცხადება ევალება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს. ამასთანვე, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს შექმნან კიბერ დანაშაულთან ბრძოლის შიდა ეროვნული სპეციალიზირებული დანაყოფები, რომლებიც ასევე შეასრულებენ 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტის უფლებამოსილებებს. გარდა ამისა, 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი **„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ"**, რომელიც აწესებს ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგად სტანდარტებს საჯარო და კერძო სექტორისთვის. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა **„კრიტიკული ინფორმაციული სისტემების**

[94] ტერორიზმი და კიბერუსაფრთხოება, 2015 https://rb.gy/ryy9la (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

[95] მ.ცომაია, კიბერ-ტერორიზმი გლობალიზაციის პროცესში, 2018 https://rb.gy/9geyy8 (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

სუბიექტების ნუსხა“. ამ ეტაპზე ნუსხაში შედიან მხოლოდ ის სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთა გამართული ფუნქციონირება სასიცოცხლო მნიშვნელობას მქონეა საქართველოსთვის.[96]

2012 წლის 5 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“[97] განმარტავს შემდეგ ტერმინებს:

ინფორმაციული უსაფრთხოება- საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას;

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა – ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ნორმებისა და პრინციპების, აგრეთვე პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც ემსახურება ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და შეესაბამება მისი დაცვის სფეროში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს;

კიბერსივრცე – სივრცე, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ელექტრონული მოწყობილობებისა და ელექტრომაგნიტური სპექტრის გამოყენება ქსელით დაკავშირებული სისტემებისა და დამხმარე ფიზიკური ინფრასტრუქტურის მეშვეობით მონაცემთა შენახვისათვის, შეცვლისათვის ან გაცვლისათვის;

კიბერშეტევა – ქმედება, როდესაც ელექტრონული მოწყობილობა ან/და მასთან დაკავშირებული ქსელი ან სისტემა გამოიყენება კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემაში შემავალი სისტემების, ქონების ან ფუნქციების მთლიანობის დარღვევის, შეფერხების ან განადგურების ან ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების გზით;

კომპიუტერული ინციდენტი – ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის რეალური ან პოტენციური დარღვევა, რომელიც ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით და იწვევს ინფორმაციის უნებართვო წვდომას, გამჟღავნებას, დაზიანებას ან შეფერხებას ან ინფორმაციული რესურსის მიტაცებას;

კრიტიკული ინფორმაციული სისტემა – ინფორმაციული სისტემა, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისათვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი – სახელმწიფო ორგანო ან იურიდიული პირი, რომლის ინფორმაციული სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის

---

[96] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კანონმდებლობა კიბერ დანაშაულზე და ზოგადი პოლიტიკა https://police.ge/ge/projects/kiberdanashauli/kanonmdebloba-kiber-danashaulze-da-zogadi-politika (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

[97] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=4

თავდაცვისათვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოებრივი ცხოვრების შენარჩუნებისათვის;

კონფიდენციალური ინფორმაცია – ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას, სავარაუდოდ, მოჰყვება კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ფუნქციებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი და რომლის კონფიდენციალურ ინფორმაციად კლასიფიცირების მიზანია ინფორმაციული აქტივების მართვის წესების უზრუნველყოფა, გარდა იმ წესებისა, რომლებითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

შინასამსახურებრივი გამოყენების ინფორმაცია – ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის თანამშრომლისათვის ან/და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის მქონე პირისათვის, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფა, სავარაუდოდ, გამოიწვევს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების მნიშვნელოვან შეფერხებას ან ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უსაფრთხოებას, სახელმწიფო ინტერესს ან კერძო პირის საქმიან რეპუტაციას და რომლის შინასამსახურებრივი გამოყენების ინფორმაციად კლასიფიცირების მიზანია ინფორმაციული აქტივების მართვის წესების უზრუნველყოფა, გარდა იმ წესებისა, რომლებითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ინფორმაციული აქტივი – ყველა ინფორმაცია და ცოდნა (კერძოდ, ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ტექნოლოგიური საშუალებები, თანამშრომლები და მათი ცოდნა ინფორმაციის დამუშავების შესახებ), რომლებიც ღირებულია კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისათვის;

ინფორმაციული სისტემა – ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ამ ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ქმედებების ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც ხელს უწყობს მართვას ან/და გადაწყვეტილების მიღებას;

ქსელური სენსორი – მოწყობილობა, რომელიც სპეციალურად გამიზნულია ქსელის სეგმენტის მონიტორინგისთვის, ისეთი ქმედებების გამოსავლენად, რომლებიც მიუთითებს ინფორმაციული სისტემის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევაზე ან მასში შეღწევაზე.

ციფრული მმართველობის სააგენტო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; კიბერუსაფრთხოების ბიურო – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომ – კიბერუსაფრთხოების ბიურო).

საქართველოში კიბერდანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კერძოდ 324[1] მუხლის თანახმად კიბერტერორიზმი წარმოადგენს კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას, მის გამოყენებას ან გამოყენების მუქარას, რომელიც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.

სსკ-ის 324[1]-ე მუხლის მიხედვით, კიბერტერორიზმისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ინტერესი, დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება. მისი ობიექტური მხარე გამოიხატება კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში, მის გამოყენებაში ან გამოყენების მუქარაში.

324[1]-ე მუხლის დისპოზიციაში საუბარია კომპიუტერული ინფორმაციის დაუფლებაზე, მის გამოყენებაზე ან გამოყენების მუქარაზე ხოლო საფრთხე ,,მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროება“ შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ხასიათის, მაგალითად, ტრანსპორტის მუშაობის ბლოკირება, შეფერხება ენერგომომარაგებაში, ობიექტების მუშაობის დეზორგანიზაცია და სხვა.[98]

324[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის სახით არის ჩამოყალიბებული. ისჯება თავისთავად კანონში მითითებული მოქმედების ჩადენა- კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას. 324[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ადამიანის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგს, პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შედეგად. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია და საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს სასამართლომ. მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს სტრატეგიული ობიექტის მუშაობის პარალიზებაში, დიდ ქონებრივ ზიანში და ა.შ.[99]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324[1]-ე მუხლის თანახმად კიბერტერორიზმის ამსრულებელია როგორც ფიზიკური პირი ასევე იურიდიული პირი. მუხლის შენიშვნაში მოცემულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ, ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩმორთმევა და ჯარიმა.

მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.283

[99] იქვე გვ284

ქმედების სუბიექტურ მხარეში, საკუთრივ მიზანში იგულისხმება მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება. რაც შეეხება მოტივს შესაძლებელია იყოს იგივე რაც ტერორისტული აქტის შემთხვევაში.

4.3 ტერორისტული აქტი და ტერორიზმის დაფინანსება

ტერორიზმის დაფინანსების საკითხი ფასდება, ტერორიზმის სიცოცხლისუნარიანობის ჭრილში. ტერორიზმის დაფინანსებით ხდება ტერორისტული საქმიანობის ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ოფიციალური საბანკო სისტემების, არაფორმალური ფულადი გზავნილების, „ჰავალას“ და „ჰუნდისების“ აქტივების გადაცემის უძველესი მეთოდების გამოყენებით. ფულადი თანხები შეიძლება მოძიებულ იქნას როგორც ლეგიტიმური წყაროებიდან, როგორიცაა პირადი შემოწირულობები, მოგება ბიზნესიდან თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, ასევე კრიმინალური წყაროებიდანაც, როგორიცაა ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა, გატაცება, გამოძალვა და ა.შ. ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა უდიდესი გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც მოიცავს შემდეგ მიზნებს:

1. ტერორიზმის დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას;
2. ტერორიზმისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების გლობალური მასშტაბით გადაადგილების სხვადასხვა ხერხების ანალიზს;
3. ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მეთოდების და ინიციატივების შესწავლას.[100]

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მთელი საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული მთავრობების ყურადღება მიიპყრო ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხმა. მსოფლიოსთვის ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრალური ელემენტი გახდა ტერორისტული ფინანსების შეზღუდვა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა აშშ-სთან თანამშრომლობით მიიღო მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა ტერორიზმის დაფინანსების ინფრასტრუქტურის ძირფესვიანად ხელშეშლას. გატარებული

[100] Biswas, B. and Sana, A.K. (2019), "Issues in Terrorism Financing: An Analysis", Das, R.C. (Ed.) The Impact of Global Terrorism on Economic and Political Development, Emerald Publishing Limited, Bingley, (Abstract)

ზომები და მათ მიერ მიღებული ნორმები მოიცავდა ისეთ მასშტაბებს, რამაც გამოიწვია ახალი საერთაშორისო ფინანსური რეგულირების რეჟიმის დაწყება.[101]

ტერორიზმის დაფინანსების დეფინიციის განსაზღვრისას მრავალი მოსაზრება იქნა წარმოთქმული და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ გაეროს 1999 წლის 9 დეკემბრის კონვენციის-ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ მიღწეული იქნა კონსესუსი ქვეყნებს შორის.

კონვენციის პრეამბულის თანახმად მისი ხელმომწერი სახელმწიფოები ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების, სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ, უკიდურესად შეშფოთებულნი არიან ყველა ფორმისა და სახის ტერორიზმის აქტების ესკალაციით მთელ მსოფლიოში, იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისათვის აღსანიშნავ იუბილეზე მიღებულ დეკლარაციას, რომელიც შედის გენერალური ასამბლეის 1995 წლის 24 ოქტომბრის 50/6 რეზოლუციაში.

წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი პირის მიერ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ეს პირი რაიმე გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და საკუთარი ნებით, უზრუნველყოფს ან აგროვებს ფონდებს ინ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ, ან იცის, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ, რათა განახორციელონ:

ა) აქტი, რომლებიც წარმოადგენს დანართში ჩამოთვლილი რომელიმე შეთანხმებით გათვალისწინებულ დანაშაულს;

ბ) ან ნებისმიერი სხვა აქტი, რომელიც გამოიწვევს მშვიდობიანი მოქალაქის ან სხვა ნებისმიერი პირის დაღუპვას, ან სხეულის სერიოზულ დაზიანებას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საომარ მოქმედებებში, თუკი ამგვარი აქტი თავისი ხასიათით, ან კონტექსტით, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინების, ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, რომ მათ ჩაადენინოს ან არ ჩაადენინოს რაიმე ქმედება.[102]

ზემოთხსენებული კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფო იღებს სათანადო ზომებს, საკუთარი კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, რათა შესაძლო კონფისკაციის

[101] HASLERUD Gjermund (HiA) (2005), TRANØY Bent Sofus (UiO), FIGHTING TERRORIST FINANCE - Issues, Impacts and Challenges, p.7

[102] International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism (New York, 9 December 1999)

მიზნით გამოამჟღავნოს, მიაკვლიოს, გაყინოს ან ყადაღა დაადოს ნებისმიერ ფონდს, რომელიც გამოყოფილია ანდა გამოიყენება ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით.[103]

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, მიიღებს ზომებს შიდა კანონმდებლობის დონეზე, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციის ფარგლებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის აქტებს არც ერთ შემთხვევაში არ მოეძებნოს გამართლება პოლიტიკური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა მსგავსი მოსაზრებით.[104]

მეორე მნიშვნელოვანი კონვენცია ევროსაბჭოს მასშტაბით, რომელიც ფულის გათეთრების გარიგებების გამოვლენის საკითხებს ეხება, არის ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ". (შემდგომში ევროსაბჭოს კონვენცია). ევროსაბჭოს კონვენციაში ფულის გათეთრების ცნება ზუსტად იმგვარად არის მოცემული, როგორც სტრასბურგის კონვენციაში. ევროსაბჭოს კონვენცია სტრასბურგის კონვენციის განმარტებებს სრულად იზიარებს, როგორც მის წინამორბედ დოკუმენტს, თუმცა, თუ მანამდე სტრასბურგის კონვენცია ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან აცილებისთვის მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობას აწესრიგებდა, 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენცია უფრო კონკრეტულია და მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებებს, კერძოდ, პრევენციული ზომების ჩამონათვალს ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია საქართველოს ავალდებულებს ტერორიზმის და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის გამოვლენის თაობაზე მიიღოს ზომები, ისევე როგორც ფულის გათეთრების გამოვლენასა და პრევენციაში. კონვენციის პირველი მუხლის „თ" პუნქტის მიხედვით, ტერორიზმის დაფინანსების ცნება ისევე არის განმარტებული, როგორც ეს გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონვენციაშია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ".[105]

ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდების მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია შევეხოთ ტერორიზმის დაფინანსებასა და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკას, მით უმეტეს, რომ ამ კუთხით უკეთესად ჩანს გაეროს უშიშროების საბჭოსა და ევროპული გაერთიანების თანამშრომლობა ასეთი სერიოზული დანაშაულის პრევენციის საკითხში. სწორედ ამიტომ მეტწილად საინტერესოა AL-KADI-ის საქმე, რომელის არსიც შემდეგში მდგომარეობდა: 1999

---

[103] იხ.მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.307

[104] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1216754?publication=0

[105] კ.წერეთელი და სხვა, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე, თბ., 2015. გვ9

წლის 15 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია #1267, რომლითაც დაიგმო ის ფაქტი, რომ ავღანეთის ტერიტორია კვლავაც იყო უსაფრთხო თავშესაფარი უსამა ბინ ლადენისთვის. ამავე რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ ყველა სახელმწიფოს უნდა გაეყინა ის ფონდები, რომლებთაც ხდებოდა ტერორისტთა დაფინანსება.[106] ამას მოჰყვა 2001 წლის 19 ოქტომბრის სანქციები კომიტეტის მიერ იმ პირთა სიის გამოქვეყნება, რომლებიც დაქვემდებარებოდნენ ფონდების გაყინვას უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად. შედეგად იასინ აბდულა კადი აღმოჩნდა სიაში, რაც ნიშნავდა, რომ მისი ყველა სახის შემოსავალი დაექვემდებარა გაყინვას და მას აღარ ჰქონდა შესაძლებლობა, ესარგებლა საკუთრებით.[107] სასამართლოს წინაშე დაყენებული იქნა 3 მოთხოვნა, რომლებიც შეეხებოდა სამართლიანი მოსმენის უფლებას, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და საკუთრების უფლებისა და თანაზომიერების პრინციპის ურთიერთმიმართებას. საქმეს იხილავდა ევროპის თანამეგობრობის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელმაც დაადგინა, რომ უშიშროების საბჭოს ან სანქციების კომიტეტის მიერ სიაში მყოფი პირების ფონდების გაყინვა არ გულისხმობს განზრახვას იმისა, რომ ასეთი პირები დაუქვემდებარონ არაადამიანურ მოპყრობას. საბოლოოდ სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომლებიც მიუთითებენ კონკრეტული პირებისა თუ ორგანიზაციების კავშირზე უსამა ბინ ლადენთან, ,,ალ-ქაიდასა“ ან „თალიბანთან“ და ეს კავშირი გადამოწმებულია უშიშროების საბჭოს მიერ, ქმნის საფუძველს იმისა, რომ მოხდეს ტერორისტული აქტების დაფინანსებაში, დაგეგმვაში, მომზადებასა და ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების ფონდების გაყინვა, ისევე როგორც ექსპორტზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება. შესაბამისად, ალ-კადის ფონდების გაყინვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც არათანაზომიერი და მიუღებელი ფორმით ადამიანის უფლებების დარღვევა.[108]

2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“[109], რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, ამგვარი დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი ღონისძიებებისთვის ხელის შეწყობა კანონით ზედმიწევნით იქნა კანონში რეგლამენტირებული საზედამხედველო ორგანოების და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების უფლება-მოვალეობები ტერორიზმის დაფინანსების ან შესაძლო დაფინანსების

[106] In Case T-315/01, Yassin Abdullah Kadi v. Council of the European Union and Commission of the European Communities, para 10.
[107] Ibid. paras. 23-59
[108] ნ.ფარსადანიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა, თბ., 2011, გვ271-272
[109] https://matsne.gov.ge/ka/document/view/12580?publication=36

აღსაკვეთად[110], თუმცა ხსენებული კანონი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2019 წლის 30 სექტემბერს, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.[111]

2019 წლის 30 სექტემბრის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. კანონის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ანგარიშვალდებული პირისთვის, საზედამხედველო ორგანოსთვის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის, გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოებისთვის, აგრეთვე ანგარიშვალდებული პირისა და სამსახურის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისთვის. კანონის მე-2 ეთმობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და მართვის საკითხებს ხოლო მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილით საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას (შემდგომ – რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა) მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – უწყებათაშორისი კომისია) წარდგინებით.

აღსანიშნავია, რომ 1999 წლის გაეროს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” კონვენციის საფუძველზე 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს სსკ-ს დაემატა 331[1]-ე მუხლი (ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა). ამ მუხლის შემოღება, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ტერორისტული აქტის დაფინანსება აღნიშნულ ცვლილებამდე დანაშაულში თანამონაწილეობად (დახმარებად) კვალიფიცირდებოდა, მაინც გამართლებულია, რადგან დაუსჯელი არ რჩება უშედეგო დახმარება და მოსამზადებელ სტადიაზე აღმოჩენილი ამგვარი ქმედება უკვე დამთავრებულ დამოუკიდებელ დანაშაულად ფასდება, რისთვისაც პასუხისმგებლობაც შესაბამისად მაღალია.[112]

სსკ-ის 331[1]-ე მუხლში (ტერორიზმის დაფინანსება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა) 2015 წლის 12 ივნისს,

---

[110] იხ.მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.307

[111] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=2#DOCUMENT:1;

[112] ი.დვალიძე, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017. გვ15.

გახორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები რომლის შესაბამისადაც, ამ დანაშაულის ობიექტური მხარეს წარმოადგენს ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვება ან მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ან/და ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად ან/და კოდექსის 144-ე, 227-ე, 227¹, 227², 227³, 229-ე, 230-ე, 231-ე, 231¹ და 231² მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ამ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან/და წინასწარი შეცნობით ტერორისტისათვის ან ტერორისტული ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევა, ტერორისტისათვის სამალავის ან თავშესაფრის მიცემა ან/და ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის რესურსებით უზრუნველყოფასა ან სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა.

დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს- დასჯადია თავისთავად ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება ან მიწოდება, იმის მიუხედავად ჩადენილია თუ არა ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან გამოყენებული იქნა თუ არა ფინანსური სახსრები ან სხვა ქონება ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, ანდა ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი ასევე იურიდიული პირი. ამ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები რაიმე სპეციფიკურობით არ გამოირჩევა დანარჩენი ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისგან.[113]

ზემოთხსენებული დანაშაული შესაძლებელია იქნეს როგორც პირდაპირი განზრახვით ასევე არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი. პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეგროვებული ან მიწოდებული ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ზემოთჩამოთვლილი ერთ-ერთი ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად. არაპირდაპირი განზრახვის დროს კი პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეგროვებული ან მიწოდებული ქონება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად, თუმცა ამაში დარწმუნებული არ არის. ამდენად, იგი შეგნებულად უშვებს , რომ ეს ქონება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კანონში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაულის ჩასადენად.[114]

არსებული მუხლი ჩემი შეფასებით ბუნდოვანი და ზედმეტად ზოგადია, არ ახდენს კონკრეტული ქმედებების კონკრეტიზაციას. რა იგულისხმება კერძოდ ტერორისტული ორგანიზაციის მომსახურების გაწევაში. დავუშვათ მაღაზიის მოლარემ იცნო ტერორისტი და

[113] იხ.მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.307
[114] იქვე გვ.307

მიჰყიდა წყალი ჩაითვლება თუ არა მომსახურეობის გაწევად? თუ ჩაითვლება ამ ქმედებისთვისაც და მაგალითად იმ შემთხვევისთვისაც როდესაც მილიონებით ფინანსდება ტერორისტული ორგანიზაცია სანქცია ერთი და იგივე უნდა იყოს? სათარჯიმნო საქმიანობის გაწევა და იარაღის მიყიდვა ვფიქრობ ერთნაირ სანქციას არ იმსახურებს. თუნდაც რომ ვივარაუდოთ ერთისთვის 10 წელი ანუ ქვედა ზღვარი ნორმის სანქციის და მეორესთვის 15 ვფიქობ მაინც დიდი აცდენა იქნება. ვფიქრობ არსებული ნორმის შემადგენლობები ცალ-ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს ტერორიზმის დაფინანსებად, რომელშიც ფინანსური სახსრებისა და სხვა ფონდების გამოყენება და გადაცემა იქნება მოაზრებული, ხოლო მომსახურების გაწევა, თავშესაფრის მიცემა და სხვა ცალკე მუხლად უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მოხდეს სანქციების შესაბამისად განსაზღვრა. ტერორიზმის დაფინანსებისთვის ასევე შესაძლებელია დამამძიმებელ გარემოებად ჩამოყალიბდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის გადაცემა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 421-2-2 მუხლის თანახმად[115], ტერორისტულ აქტად განიხილება ტერორიზმის დაფინანსება, კერძოდ, გარკვეული ქონების, ფასეულობების, ფინანსური საშუალებების ან სხვა ფონდების გამოყენება ანდა გადაცემა იმის გაცნობიერებით, რომ აღნიშნული მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ტერორისტული დანაშაულის ამკრძალავი თავით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების ჩასადენად, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დანაშაული რეალურად ჩადენილი.[116]

ტერორიზმის მატერიალურ მხარდაჭერასა და სხვაგვარი რესურსებით უზრუნველყოფის საქმეზე საქართველოში მომხდარ რეზონანსულ საკითხს წარმოადგენს 2017 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ თბილისსა და ახმეტის რაიონის სოფლებში, ჩატარებული სპეცოპერაცია, რა დროსაც დაკავებულ იქნა საქართველოს 5 მოქალაქე: ზურაბ გორნაკაშვილი, რუსლან ალდამოვი, რამაზ მარგოშვილი, ბადურ ჩოფანაშვილი და თემირლან მაჩალიკაშვილი. დაკავებული პირები დაკავშირებულები იყვნენ 21-22 ნოემბერს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად განეიტრალებული დაჯგუფების წევრებთან და წარმოადგენდნენ მათ ხელშემწყობ პირებს. აღნიშნულმა პირებმა, უზრუნველყვეს ახმედ ჩატაევის და მისი თანამზრახველების ჯერ თურქეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირება, მათი დროებითი საცხოვრებელი მისამართიდან საქართველოს საზღვრის კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე, ხოლო შემდგომ დაეხმარნენ ამავე მონაკვეთით საქართველოში უკანონოდ შემოსვლაში. დაკავებულმა პირებმა

[115] French Penal Code https://www.legislationline.org/download/id/8546/file/France_CC_am012020_fr.pdf (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

[116] გ.გორაშვილი,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება თბ.,2011, გვ.145

ასევე უზრუნველყვეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების თბილისამდე ჩამოყვანა, დახმარება გაუწიეს ბინის ქირაობასა და იარაღის მოძიებაში.[117]

ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში საგულისხმოა ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი კომიტეტის (MONEYVAL) რომელიც ევროსაბჭოს მუდმივი მონიტორინგის ორგანოს, წარმოადგენს და აღჭურვილია უფლებამოსილებით, შეაფასოს წევრ ქვეყნებში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ არსებული შიდა საშუალებების ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, განსაზღვროს მათი ეფექტიანობა და შეიმუშაოს რეკომენდაციები, 2020 წლის 2 ნოემბერს გამოქვეყნებული ანგარიში[118]. კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაამლიეროს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა. ანგარიში აფასებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს სისტემის ეფექტიანობას და მის შესაბამისობას ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF)[119] მიერ 2012 წელს გაცემულ რეკომენდაციებთან.[120]

2021 წლის 14 აპრილს ძალაში შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე და 42-ე მუხლების ახალი რედაქცია, რომლის თანახმად, გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი გაეროს სანქციების კომიტეტის მიერ სანქცია დაკისრებულ პირთა სიაში განხორციელებული ცვლილება (პირის სანქცია დაკისრებულ პირთა სიაში შეყვანა ან ამ სიიდან ამოღება ან პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება) საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალას იძენს გაეროს სანქციების კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.[121]

---

[117] https://ssg.gov.ge/news/303/sus-ma--terorizmis-dafinansebis--teroristuli-saqmianobis-sxvagvari-materialuri-mxardacheris-da-resursebit-uzrunvelyofis-braldebit-5-piri-daakava (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

[118] Council of Europe's anti-money laundering body MONEYVAL, Money Laundering and Terrorism Financing Risk Assessment of Georgia report, 2019

[119] FATF Recommendations 2012

[120] MONEYVAL– ის შეფასება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ https://idfi.ge/ge/moneyval_assessment_of_georgia_on_money_laundering_and_terrorism_financing (ბოლოს გადამოწმდა: 15.06.2021)

[121] 2021 წლის 30 მარტს ცვლილება საქართველოს კანონში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ https://fms.gov.ge/geo/news/135 (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

4.4 ტერორისტული აქტი და სხვა ტერორისტული დანაშაულები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უკანასკნელი წლების განმავლობაში დასჯადად გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება (სსკ-ის 327[1] -ე მუხლი). ასევე შეიძლება ითქვას, რომ უკვე სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ აისახა ტერორისტულ დანაშაულთა თავში საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 329[1]-ე); ტერორისტული საქმიანობის ან/ და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება (სსკ-ის 330[1] -ე მუხლი); წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (სსკ-ის 330[2]-ე მუხლი). ყოველივე ეს შეესაბამება 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.[122]

სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავში გაერთიანებულია როგორც ტრადიციული ტერორისტული ქმედება, ასევე მსოფლიო პრაქტიკის გააზრებით შექმნილი დელიქტებიც.[123] საერთაშორისო სტანდარტების დაცვა რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც არის ასახული, მართებულია, თუმცა ამავდროულად საკითხავია, რამდენად სწორად ხორციელდება ცვლილებები ან რამდენად აუცილებელია ცალკეულ საკითხებთან მიმართებით სისხლისსამართლებრივი რეგულაციების ამჟამინდელი ფორმით არსებობა კანონმდებლობაში.[124]

2014 და 2015 წლებში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ სირია-ერაყის ტერიტორიაზე ერთგვარი პროტოსახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო, რა დროსაც მსოფლიო მასშტაბით პირებმა დაიწყეს ხსენებულ ტერიტორიაზე მოგზაურობა ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვის მიზნით, ცხადია ხსენებულმა მოვლენებმა საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის გაძლიერება გამოიწვია, შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო.

---

[122] ი.დვალიძე,ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი,თბ., 2017. გვ15

[123] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.268

[124] ბ.ჯიშკარიანი, თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში: გააზრებული ცვლილებები თუ ნაჩქარევი რეაქციები ცალკეულ გამოწვევებზე. თბ., 2020, გვ21

ცვლილებების პირველად 2014 წლის 4 აპრილს, ხოლო მეორედ 2015 წლის 12 ივნისს განხორციელდა. კოდექსს ახალი მუხლები დაემატა ხოლო მანამდე არსებულ მუხლებში ცვლილებები განხორციელდა, გამკაცრდა სანქციებიც.

სსკ-ის 329- მუხლი ითვალისწინებს მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზით. ზოგადად მძევლად ხელში ჩაგდება 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია, რომლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული პირის მძევლად ხელში ჩაგდებაა, რაც ძალიან ემსგავსება 329-ე მუხლით გათვალისწინებულ ანალოგიურ შემადგენლობას, თუმცა განსხვავება შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ სსკ-ის 144-ე მუხლი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო 329-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი სახეა.[125]

საინტერესოა სსკ-ის 330[1]-ე მუხლი, ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისკენ საჯაროდ მოწოდება. როდესაც ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერაზეა საუბარი აქვე უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ტერორისტულ ორგანიზაციათა სია, როგორც ეს აშშ-შია ჩამოყალიბებული. აშშ ადგენს ტერორისტული ორგანიზაციების სიას და განმარტავს, რომ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და წარმოადგენს ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერის შემცირების და ჯგუფებზე ზეწოლის ეფექტურ საშუალებას.[126] ვფიქრობ საქართველოშიც უნდა დადგეს ტერორისტულ ორგანიზაციათა ოფიციალურად აღიარების საკითხი რათა უკეთესად იქნეს თუნდაც წინამდებარე ნორმა პრაქტიკაში გამოყენებული.

განსაკუთრებული დავის საგანს წარმოადგენს სსკ-ის 330[3]-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობა ტერორიზმის თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით. ეს ნოვაცია 2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელდა, რომლის მიზანშეწონილობა შეკითხვებს ბადებს. ერთია რომ ქურდობა ფარულად ხორციელდება ასევე საინტერესოა როგორ უნდა განახორციელოს ქურდობა იურიდიულმა პირმა. თუ ნაქურდალი ნივთი გამოიყენება ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად თავისუფლად შეიძლებოდა ამ ქმედების კვალიფიკაცია იმ კონკრეტული ტერორისტული დანაშაულის მომზადებად და ქურდობად ერთობლიობაში. იმავე პრობლემას ვაწყდებით სსკ-ის 330 კვარტა მუხლში მოცემულ

[125] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.302

[126] BUREAU OF COUNTERTERRORISM, Foreign Terrorist Organizations https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations/ (ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2021)

გამოძალვას ტერორიზმის თავით გათვალისწინებული ერთერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით.[127]

თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომში განხილულ იქნა ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის გამოყენებით, რომელთა ვრცელი და საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. ნაშრომის პირველ თავში განხილულია გამოყენებული ლიტერატურა. მომდევნო თავი ეხება ტერორისტული აქტის ძირითად შემადგენლობას, სადაც განხილულია ტერორიზმის დეფინიციის პრობლემატიკა, რადგან მისი განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლასთან, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, თუ რა იგულისხმება ტერორიზმში, როგორც დანაშაულში და რა განმარტებებს აყალიბებს საერთაშორისო ორგანიზაციები ტერორიზმის დეფინიციასთან მიმართებით. ამავე თავში საუბარია ტერორისტული აქტის ობიექტურ და სუბიექტური შემადგენლობებზე, სადაც ჩამოყალიბებულია თუ ვინ შეიძლება იყოს ქმედების სუბიექტი რა თავისებური მახასიათებლები გააჩნია მას და ვის წინააღმდეგ მოქმედებს. სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტული აქტის დისპოზიციაშივე არის განმარტებული თუ რა ქმედებებით შეიძლება გამოიხატოს ტერორისტული აქტი, რაც ყველაზე მთავარია აქ ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, კერძოდ კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია სახეზე გქვონდეს ტერორისტული მიზანი, რომელსაც ასევე სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს. სწორედ მიზანი წარმოადგენს ერთ-ერთ ნიშანს, რომელიც მიჯნავს ტერორისტული აქტს სხვა დანაშაულებისგან.

მომდევნო თავი ეხება ტერორისტული აქტის კვალიფიციურ შემადგენლობებს და სათითაოდ განიხილავს მათ. ქმედების დამამძიმებელი გარემოებების კვლევისას იკვეთება

[127] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ.302-303

დანაშაულის არაერთგზისობის პრობლემატიკა. განხილულია თუ რა გზებს მიმართავენ სახელმწიფოები საკითხის გადასაჭრელად, არის თუ არა საკმარისი მხოლოდ სისხლის სამართლის სანქცია რადიკალურ-ექსტრემისტული იდეებით შეპყრობილი ადამიანებისთვის და რა მიდგომებს შეიძლება საჭიროებდნენ ისინი, იმისათვის რომ მომავლში არაერთგზის არ განხორციელდეს ტერორისტული აქტი.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია ტერორიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები, და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, რომელიც ერთდროულად როგორც გლობალურად ასევე საქართველოსთვის ბოლო პერიოდის გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან 2014 წლის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გადინება საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციების ძალადობრივ საქმიანობებში მონაწილეობის მიზნით. აუცილებელია, რომ საქართველოში მათი დაბრუნების საკითხის დღის წესრიგში დადგომისას, ქვეყანას გააჩნდეს გამართული კანონმდებლობა ზემოთხსენებულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად. ნაშრომში ვრცელი კვლევა ეთმობა ტერორიზმის დაფინანსებას, ვინაიდან ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხი მსოფლიოსთვის, ბოლო პერიოდში, ზოგადად ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრალური ელემენტი გახდა. ამ მიმართულებით წარმოდგენილია ჩემი მოსაზრებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331[1]-ე მუხლში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისად ვმსჯელობ მისი აღმოფხვრის კონკრეტულ წინადადებებზე.

დასკვნა

ტერორიზმი კაცობრიობის გლობალური პრობლემაა, აღნიშნული საფრთხე მუდმივად მზარდი და ცვალებადია. ვინაიდან ტერორიზმი თანდათან უფრო მასშტაბური და სახიფათო ხდება, ხსენებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რა დროსაც პერიოდულად ქმნის და აახლებს სამართლებრივ ბაზას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცული მდგომარეობის შესანარჩუნებლად და არსებული პოტენციური საფრთხეებისაგან თავის დასაცავად უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება. არსებული ფუნქციების პრაქტიკული განხორციელებისთვის აუცილებელია ნაციონალურსამართლებრივი ნორმები მუდმივად პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს, ხოლო მათი ჩამოყალიბებისას დაცული იყოს სისხლის სამართლის პრინციპები.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევაში საქართველოს ჩართულობის საკითხი, კერძოდ თუ რა საერთაშორისო სამართლებრივ აქტების იმპლემენტაციას ახდენს ქვეყანა ეროვნულ კანონმდებლობაში. კვლევაში გამოკვეთილია სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია წინადადებები მათი ახლებურად მოწესრიგების მიზნით, რადგან ტერორიზმთან ბრძოლაში, გამართული საკანონმდებლო ბაზა სასიცოცხლოდ აუცილებელია რელევანტური სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017;
2. ფარსადანიშვილი ნ., ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა, თბ.,2011;
3. დვალიძე ი., ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბ., 2017;
4. გახოკიძე, ლეკვეიშვილი, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები;
5. გორაშვილი გ., ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება თბ.,2011წ;
6. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016წ;
7. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.,2013;
8. გოდერძიშვილი ვ., ტერორიზმის ფორმები და მათთან დაკავშირებული უახლოესი გამოწვევების ანალიზი, თბ., 2017;
9. სუჯაშვილი დ., ბავშვები-ტერორიზმის მომავალი, თბ 2020;
10. თოხაძე მ., 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა, თბ., 2020ბ.
11. ჭიღიტაშვილი ა., ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, თბ., 2009;

12. ქარელი ს, მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში, თბ., 2017;
13. წერეთელი კ., და სხვა, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე, თბ., 2015;
14. ჯიშკარიანი ბ., თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში: გააზრებული ცვლილებები თუ ნაჩქარევი რეაქციები ცალკეულ გამოწვევებზე. თბ., 2020.
15. ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბ.,2019;

უცხოური ლიტერატურა:

1. Alex Schmid, Terrorism - The Definitional Problem, 36 Case W. Res. J. Int'l L. 375, 2004;
2. Dr. Edwin Bakker Dr. Beatrice de Graaf, Lone Wolves How to Prevent This Phenomenon?, Expert Meeting Lone Wolves November, 2010;
3. Vito D'Orazio & Idean Salehyan, Who is a Terrorist? Ethnicity, Group Affiliation, and Understandings of Political Violence, International Interactions, 2018;
4. Nina Jorgensen, Children associated with terrorist groups in the context of the legal framework for child soldiers, 2019;
5. Military and Paramilitary Activities in and Against Nicaraqua, I.C.J. Rep. Judges Schewebel
6. John Horgan & Max. Taylor, The provisional Irish republican army: Command and functional structure, Terrorism and Political Violence, 1997;
7. Mahmut Aytekin, Radicalisation processes of the Kurdistan Workers Party (PKK): ideology and recruitment tactics, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 2019;
8. Alison Jamieson, Identity and morality in the Italian red brigades, Terrorism and Political Violence,1990;
9. John M. Nomikos, Terrorism, Media, and Intelligence in Greece: Capturing the 17 November Group, International Journal of Intelligence and CounterIntelligence, 2017;
10. Mary Beth Altier, John Horgan, and Christian Thoroughgood, Returning to the Fight: What the Literature on Criminal Recidivism Can Contribute to our Understanding of Terrorist Recidivism, The Pennsylvania State University;
11. Robert Jay Lifton MD, Aum Shinrikyo, Journal of Aggression, Maltreatment & Trauma, 2004;

12. Anna Marie Brennan, Transnational Terrorist Groups and International Criminal Law, 1ST edition, 2020;
13. Dalbir Ahlawat & Khuram Iqbal, Knowing al-Qaeda: the epistemology of terrorism, Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 2004;
14. Bader Al-Ibrahim, ISIS, Wahhabism and Takfir, Contemporary Arab Affairs, 2015;
15. Adriana Curto, Hezbollah: A Short History, Hezbollah: An Outsiders Inside View, Small Wars & Insurgencies, 2016;
16. Theo Farrell, Taliban Narratives: The Use and Power of Stories in the Afghanistan Conflict, The RUSI Journal, 2018;
17. Lee Jarvis & Stuart Macdonald, What Is Cyberterrorism? Findings From a Survey of Researchers, Terrorism and Political Violence, 2015;
18. Biswas, B. and Sana, A.K. ,"Issues in Terrorism Financing: An Analysis", Das, R.C. (Ed.) The Impact of Global Terrorism on Economic and Political Development, Emerald Publishing Limited, Bingley, 2019;
19. HASLERUD Gjermund (HiA), TRANØY Bent Sofus (UiO), FIGHTING TERRORIST FINANCE - Issues, Impacts and Challenges, 2005;

სასამართლო პრაქტიკა:

1. Case T-315/01, Yassin Abdullah Kadi v. Council of the European Union and Commission of the European Communities

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კანონი ტერორზმთან ბრძოლის შესახებ;
2. სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ;
4. საქრთველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;

5. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 2003;
6. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ;
7. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი.

ვებ.გვერდები:

1. http://yata.ge/ge/?p=1585;
2. https://worldview.stratfor.com/article/lone-wolf-disconnect;
3. https://netgazeti.ge/news/16961/;
4. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/30009?;
5. https://www.fbi.gov/investigate/terrorism;
6. https://www.britannica.com/topic/ETA;
7. https://www.reuters.com/article/us-malaysia-sri-lanka-idUSKBN1WP1P9;
8. https://www.britannica.com/topic/Revolutionary-Peoples-Liberation-Party-Front;
9. https://greekreporter.com/2015/11/25/isis-threatens-60-countries-including-greece-video/;
10. https://ssg.gov.ge/news/156/sus-is-kontrteroristulma-centrma-erti-piri-daakava;
11. ttps://tabula.ge/ge/news/568916-isis-mkhardamcheri-kartveli-mojahedi-muslimta;
12. http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1559;
13. https://rb.gy/tl3jqx;
14. https://rb.gy/adehnk;
15. https://www.myadvokat.ge/ka/blog/5522;
16. https://www.arabnews.com/node/666656/amp;
17. https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=12;
18. https://www.gfsis.org/files/my-world/10/saxelmwifo.pdf;
19. shorturl.at/ozGKR;
20. https://www.chosenpeople.com/site/ministry-news-brief-history-isis/;
21. https://tabula.ge/ge/news/633542-islamuri-sakhelmcipos-aghzeveba-datsema-istoria;
22. https://rb.gy/ryy9la;

23. https://police.ge/ge/projects/kiberdanashauli/kanonmdebloba-kiber-danashaulze-da-zogadi-politika;
24. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=4;
25. https://www.legislationline.org/download/id/8546/file/France_CC_am012020_fr.pdf;
26. https://ssg.gov.ge/news/303/sus-ma--terorizmis-dafinansebis--teroristuli-saqmianobis-sxvagvari-materialuri-mxardacheris-da-resursebit-uzrunvelyofis-braldebit-5-piri-daakava;
27. https://fms.gov.ge/geo/news/135;
28. https://idfi.ge/ge/moneyval_assessment_of_georgia_on_money_laundering_and_terrorism_financing;
29. https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations;

საერთაშორისო აქტები/დოკუმენტები:

1. United Nations General Assembly resolution 2625 (1970);
2. Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15 March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA;
3. US State Department, Terrorist Exclusion List, Section 411 of the USA PATRIOT ACT of 2001 (8 USC § 1182);
4. Europol, European Union Terrorism Situation and Trend report, 2020;
5. Council of Europe's anti-money laundering body MONEYVAL, Money Laundering and Terrorism Financing Risk Assessment of Georgia report, 2019;
6. FATF Recommendations 2012.